

ანატოლი კალგინი
Anatoly Kalgin

1875-1943

ნიმუში გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით კონკურსის „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“ ფარგლებში

THE BOOK WAS PUBLISHED WITH THE SUPPORT OF THE MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORTS OF GEORGIA WITHIN THE FRAMEWORK OF THE COMPETITION "PROMOTING CREATIVE ACTIVITIES TO PRESERVE THE IDENTITY OF ETHNIC MINORITIES".



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE,
CULTURE AND SPORT OF GEORGIA



საქართველოს ეროვნული
მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL
MUSEUM

პროექტის ხელმძღვანელი - ეკა კიკნაძე
ავტორები - გვანცა ბერძენიშვილი, დავით ნიორაძე
ტექსტის ავტორი - გვანცა ბერძენიშვილი
კონსულტანტი - ნინო გედევანიშვილი
რედაქტორები - ნინო ნადარაია, ქეთი დიასამიძე
მთარგმნელი - მარია გოგუაძე
დიზაინერი - გეგა პაქსაშვილი
ფოტოგრაფები - შალვა ლეჟავა, მირიან კილაძე
მენეჯერი - სოფო მიქაძე

PROJECT LEADER – EKA KIKNADZE
AUTHORS – GVANTSA BERDZENISHVILI, DAVID NIORADZE
TEXT BY – GVANTSA BERDZENISHVILI
CONSULTANT – NINO GEDEVANISHVILI
EDITORS – NINO NADARAIA, KETI DIASAMIDZE
TRANSLATOR – MARIAM GOGUADZE
DESIGNER – GEGA PAKSASHVILI
PHOTOGRAPHERS – SHALVA LEZHAVA, MIRIAN KILADZE
MANAGER – SOPO MIKADZE

თბილისი 2020 TBILISI

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM

ISBN 978-9941-9681-0-5

პროექტზე მუშაობისას თანადგომისთვის მადლობას ვუხდით საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს: **დინარა ვაჩნაძეს, ნინო ხუნდაძეს, გურამ ნიკოლაძეს, თეა ყველაშვილსა და ენერგო-პრო ჯორჯიას** წარმომადგენლებს: **გიორგი გიუტაშვილს, ნიკოლოზ თოფურას, ავთანდილ დვალაშვილს, თამარ დოგრაშვილს**

პირადი არქივებიდან ფოტოების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით: **ნათია მიქელაძეს, გიორგი მესხს, გია ჯაველიძეს, ნინი გვაზავას**

კვლევისას გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით **დავით ხოშტარასა და მაია მანიას**, ფოტოგრაფ **გურამ წიბახაშვილს** მაჭესის კომპლექსის კვლევისას გაწეული კონსულტაციისთვის

გვსურს, მადლიერება გამოვხატოთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილის, **ლევან თაქთაქიშვილის**, მიმართ პანდემიის პირობებში გაწეული ხელშეწყობისთვის

We thank the staff of the Georgian National Museum: **Dinara Vachnadze, Nino Khundadze, Guram Nikoladze, Tea Kvelashvili** and the representatives of Energo-Pro Georgia: **Giorgi Giutashvili, Nikoloz Topuria, Avto Dvalishvili** and **Tamar Dograshvili** for their support in working on the project

We are grateful to **Natia Mikeladze, Giorgi Meskhi, Gia Javelidze, Nini Gvazava** for submitting photos from their personal archives

We thank **David Khoshtaria** and **Maia Mania** for their assistance in our research, and photographer **Guram Tsibakhashvili** for the provided consultancy in the exploration of Zahesi Complex

We would like to express our gratitude to the Deputy Director of the National Parliamentary Library of Georgia **Levan Taktakishvili** for his support during pandemic

შემოკლებაანი / ABBREVIATIONS

სემ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GNM - Georgian National Museum



145 წელი შესრულდა არქიტექტორისა და ინჟინრის – ანატოლი კალგინის დაბადებიდან. იგი პირველთაგანია საუკუნის დასაწყისის დიდ მეცნიერებთან, მხატვრებსა და არქიტექტორებთან ერთად, ვინც საფუძველი ჩაუყარა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფიქსაციისა და სამეცნიერო შესწავლის საქმეს. მის სახელს უკავშირდება XX ს-ის ქართული არქიტექტურის საეტაპო ნაგებობები და ახალგაზრდა არქიტექტორთა თაობების აღზრდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი ანატოლი კალგინის საიუბილეო თარიღს წიგნის გამოცემით აღნიშნავს. მასში პირველად ქვეყნდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურული ნახაზებისა და ანაზომების ფონდში დაცული ანატოლი კალგინის ნამუშევრების სრული კოლექცია. გამოცემა აერთიანებს მასალას, რომელიც დღემდე შეუცვლელია ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევართათვის. იმედი მაქვს, ის ხელს შეუწყობს ახალი თაობის დაინტერესებას თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებითა და სტიმულს მისცემს სამომავლო კვლევას. სასიხარულოა, რომ ეს წიგნი საქართველოს ეროვნული მუზეუმის სხვადასხვა თაობის თანამშრომლების – გამოცდილი და სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტების ერთობლივი ნამუშევარია.

მადლობას ვუხდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის მხარდაჭერისთვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი
აკადემიკოსი
დავით ლორთქიფანიძე

145 years have passed since the birth of the architect and engineer Anatoly Kalgin. He is one among the first scholars, artists and architects of the beginning of the century, who laid the foundation for fixation and scientific study of medieval Georgian architectural monuments. His name is associated with the landmark buildings of Georgian architecture of the XX century, and upbringing the generations of young architects for the country.

Georgian National Museum celebrates Anatoly Kalgin's anniversary by publishing a book. The book contains a complete collection of works by Anatoly Kalgin for the first time that are preserved in the Fund of Architectural Drawings and Measurements of the Shalva Amiranashvili Art Museum of the Georgian National Museum. The publication combines materials that are still inimitable for the researchers of Georgian architecture. I hope it will stimulate interest of the new generation in modern Georgian architecture and future research. It is gratifying that this book is a joint work of different generations of the Georgian National Museum staff - experienced and completely young specialists.

I express my gratitude to the Ministry of Education, Science, Culture and Sports of Georgia for supporting the project.

General Director of The Georgian National Museum
Prof. **David Lordkipanidze**



ანატოლი კალგინი

1875-1943

Anatoly Kalgin

2020 წელს შესრულდა 145 წელი საქართველოში მოღვაწე ინჟინრისა და არქიტექტორის – ანატოლი კალგინის (1875-1943 წწ.) დაბადებიდან.

ანატოლი კალგინი XX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს სახელოვნებო პროცესების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაწილეა. იგი ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ ტაო-კლარჯეთში მოწყობილი ქართული ძეგლების შემსწავლელი ორი ექსპედიციის მონაწილე იყო. მის მიერ აქ შესრულებული ძეგლების ანაზომები და ჩანახატები ერთგვარი წინაპირობა გახდა XX ს-ის დასაწყისში შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სამეცნიერო კვლევის დასაწყებად. ისინი დღემდე ინარჩუნებს განსაკუთრებულ სამეცნიერო, მხატვრულსა და დოკუმენტურ მნიშვნელობას.

ანატოლი კალგინი არის თბილისის არქიტექტურის გამორჩეული ძეგლის – სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის (დღეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი) შენობის ავტორი (1916 წ.) და საბჭოთა არქიტექტურის უმნიშვნელოვანესი ნიმუშის – ზაჰესის (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის) ხუროთმოძღვრული კომპლექსის (1927 წ.) არქიტექტორი.

1922-1930 წლებში ანატოლი კალგინი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის, ხოლო 1930 წლიდან გარდაცვალებამდე ინდუსტრიული ინსტიტუტის (დღეს ტექნიკური უნივერსიტეტი) პროფესორი. მისი დატვირთული შემოქმედებითი ბიოგრაფია XX ს-ის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან პროცესებსა და პერსონალიებს აერთიანებს. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ასევე შევეხებით ხელოვნებათმცოდნეებს, მხატვრებს, არქიტექტორებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ ანატოლი კალგინთან ერთად.

წიგნში პირველად ქვეყნდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურული ანაზომებისა და ნახაზების ფონდში დაცული ანატოლი კალგინის ნამუშევრების სრული კოლექცია.

145 years passed since the birth of an engineer and architect Anatoly Kalgin (1875-1943), who lived and worked in Georgia.

Anatoly Kalgin is one of the outstanding participants of artistic processes in the I part of the XX c.. He took part in two expeditions to study Georgian monuments in Tao-Klarjeti, organized by the Historical and Ethnographic Society and headed by Ekvtime Takaiashvili. Measurements and sketches of the monuments created by A. Kalgin in the beginning of the XX c. became to some extent a precondition to start academic research. They maintain significant scientific, artistic and documental importance to date.

Anatoly Kalgin is the author of the distinguished architectural monument in Tbilisi (1916) – The Nobility Bank (today I Building of the National Parliamentary Library of Georgia) and the architect of the most significant model of Soviet architecture – Zahesi architectural complex (Zemo Avchala HPP, 1927).

In 1922-1930 Anatoly Kalgin worked as a professor of Tbilisi Academy of Art and from 1930 until his death – as a professor at the Industrial Institute. His rich creative biography embodies important processes and personalities of Georgian cultural life of the I part of XX c.. Therefore, in the present publication we will touch upon art critics, painters, architects, who worked with Anatoly Kalgin during years.


The present paper declares a complete collection of Anatoly Kalgin's architectural measurements and designs for the first time. The material is preserved in the funds of GNM Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.



ანატოლი
კალგინი

Anatoly
Kalgin





ანატოლი კალგინი და
მისი ეპოქა
ANATOLY KALGIN
AND HIS ERA

ანატოლი კალგინის ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოში XX ს-ის I ნახევრის დრამატული ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების ფონზე ვითარდებოდა. 1905-1907 და 1917 წლების რუსეთის რევოლუციების, ასევე პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შედეგები აისახა საქართველოზეც, რომელიც საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის გუბერნია იყო, 1918-1921 წლებში – დემოკრატიული რესპუბლიკა, 1921 წლიდან კი – საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყანა. პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ კულტურული ხასიათის ცვლილებები ხელოვნებასა და, განსაკუთრებით, ხუროთმოძღვრებაზე ზემოქმედებდა და სხვადასხვა მოთხოვნას, ამოცანასა და მათი გადაჭრის გზებს განაპირობებდა.

XIX ს-ის II ნახევრიდან თბილისი (ტფილისი) ამიერკავკასიის უმთავრესი ადმინისტრაციულ-

Anatoly Kalgin's life and work unfolded amid dramatic historical and political processes in the I half of the XX c.. Results of the Russian revolutions in 1905 and 1917, as well as the results of the I World War (1914-1918) affected Georgia, which was a province of the Russian Empire in the beginning of the last century, then in 1918-1921 Georgia became a Democratic Republic and from 1921 was occupied by Soviet Russia. Political, economic and cultural changes affected art and especially architecture; disparate requirements were set and methods of their solution alternated.

Starting from the II half of the XIX c. Tbilisi (Tiflis) became the main administrative and cultural center and by the turn of the



კულტურული ცენტრი გახდა და XX ს-ის მიჯნისთვის თანადროული ეპოქის ტიპურ ქალაქად გადაიქცა. ამ დროს არქიტექტურაში უაღრესად საინტერესო პროცესები მიმდინარეობდა. XIX საუკუნესთან შედარებით გაიზარდა მშენებლობის მასშტაბი, გაუმჯობესდა ნაგებობათა შენების ხარისხი. ამ დროს აშენდა მრავალი საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა. შეიქმნა ქალაქის ახალი უბნები, რომლებიც დღესაც აქტიურ როლს ასრულებს თბილისის უაღრესად სახასიათო იერის შენარჩუნებაში. აიგო სხვადასხვა დანიშნულებისა და არქიტექტურული იერსახის ნაგებობები – წვრილი საწარმოები, ფაბრიკა-ქარხნები, რკინიგზის სადგური, ბანკები, უნივერსალური მაღაზიები, საგანმანათლებლო თუ კულტურული დაწესებულებები, საავადმყოფოები და სხვ. ამან, ცხადია, გადამწყვეტი როლი შეასრულა ქალაქის ახალი სახის ჩამოყალიბებაში. თბილისსა

XX c., it turned into a typical contemporary city of that epoch. During this period, extremely interesting processes took place in architecture. Compared to the last century, scales of construction increased, the quality of buildings improved. Many residential and public buildings were constructed. New districts were created, which still play an active role in preserving the extremely characteristic appearance of Tbilisi. Buildings for various purposes and architectural design were built, such as small industrial enterprises, factories, railway stations, banks, department stores, educational and cultural organizations, hospitals, etc. By all means, this played a decisive role in the establishment of the new look of the city. Almost all types

თბილისი XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში
TBILISI, END OF THE 19th C. AND BEGINNING OF THE 20th C.



თბილისი XIX ს-ის დასასრულსა
და XX ს-ის დასაწყისში

TBILISI, END OF THE 19th C. AND
BEGINNING OF THE 20th C.

და მთლიანად საქართველოში იგებოდა იმ ხანად ევროპაში გავრცელებული თითქმის ყველა ტიპის შენობა. XX ს-ის დასაწყისის თბილისის ხუროთმოძღვრება სრულად შეესაბამებოდა თანადროული რუსეთისა და დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ურბანულ იერსახეს.

სწორედ ასეთ გარემოში, როგორც არქიტექტორი, იწყებს მუშაობას ანატოლი კალგინი. იგი დაიბადა ქალაქ ვლადიკავკაზში 1875 წელს. უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთში, ქალაქ პეტერბურგის, სამოქალაქო-საინჟინრო

of buildings were constructed in Tbilisi and whole Georgia according to the designs widespread in Europe at that time. At the turn of the XX c. Tbilisi architecture was fully in compliance with the urban look of Russia and developed countries of the western civilization.

It is in this context that Anatoly Kalgin begins his work as an architect. He was born in Vladikavkaz in 1875. He received higher education in Petersburg,



ინსტიტუტში. 1900 წელს ჩამოდის თბილისში (გარკვეულ პერიოდში, 1901-1907 წლებში მუშაობს პიატიგორსკში, ბაქოში; 1905-1907 წლებში, ასწავლის მოსკოვის სტროგანოვის სასწავლებელში) და აქ მოღვაწეობს გარდაცვალებამდე, 1943 წლამდე.¹

Russia at the Institute of Civic Engineers. In 1900 he arrived in Tbilisi (in 1901-1907 he worked in Pyatigorsk and Baku, in 1905-1907 he gave lectures at Moscow State Stroganov Academy) and worked there until his death in 1943.¹

ანატოლი კალგინი და მისი მეუღლე დარია ვედრებისელი (ჟურნ., "მაყვლოვანი". 2012 N 7. თბ. 83-48)

ANATOLY KALGIN AND HIS WIFE
DARIA VEDREBISELI
(JOURN.; "MAKVLOVANI". 2012. N 7. TB. P 48)

1. ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. ჟურ. „ქართული ხელოვნება“. №4. 1955. თბ., გვ. 79.

1. V. Beridze. The History of Georgian Soviet Architecture. Journ. "Kartuli Khelovneba" # 4. 1955. Tb., p. 79



აქსპედიციები
Expeditions



ანატოლი კალგინი მცხეთის ჰერის ექსკავაციის ნაპრაბთან ერთად. ზადა რიგში მარცხნიდან: ანატოლი კალგინი, ღაზარ სარქისიანი, გაბრიელ ტერ-მელიქოვი, ნ. მადათოვი, იაკობ ნიკოლაძე, სიმონ კლდიაშვილი, მათ წინ ზის პიოტრ რესნენკო. ქვედა რიგში მარცხნიდან: დავით კარიჭაშვილი, ჰენრიკ ჰრინევსკი, ექვთიმე თაყაიშვილი, დიმიტრი ერმაკოვი, სერგო გორგაძე, მათ წინ ზის გრიგორ კავინოვი.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი

IN THE FIRST ROW FROM THE LEFT: ANATOLY KALGIN, GHAZAR SARKISYAN, GABRIEL TER-MELIKOV, N. MATADOV, IAKOB NIKOLADZE, SIMON KLDIASHVILI. PIOTR RESNENKO – IN THE FRONT.

IN THE SECOND ROW FROM THE LEFT: DAVID KARICHASHVILI, HENRYK HRYNIEWSKI, EKVTIME TAKAISHVILI, DIMITRI YERMAKOV, SERGI GORGADZE; GRIGOR KEPINOV IS SITTING IN FRONT OF THEM.

GIORGI LEONIDZE GEORGIAN STATE MUSEUM OF LITERATURE

ანატოლი კალგინის შემოქმედებას უმთავრესად შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებასა და ე. წ. ქართულ სტილს უკავშირდება, რაშიც მას ექსპედიციებში მონაწილეობა და ის პიროვნებები დაეხმარნენ, რომელთან ერთადაც უწევდა მოგზაურობა და კვლევითი საქმიანობა. ესენი იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი ერმაკოვი, ნიკოლოზ სევეროვი, დიმიტრი შევარდნაძე და სხვები, რომლებიც ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების შესწავლისა და ფიქსაციის სათავეებთან იდგნენ.

Anatoly Kalgin's work is mainly associated with medieval Georgian architecture and the so-called Georgian style, which was facilitated by his participation in expeditions and the people with whom he traveled and conducted research. These were: Ekvtime Takaishvili, Giorgi Chubinashvili, Dmitri Yermakov, Nikolay (Nicholas) Severov, Dimitri Shevardnadze and others, who stood at the origins of the study and documentation of Georgian architectural monuments.



სტუდენტობის წლებში ანატოლი კალგინმა მთელ საქართველოში იმოგზაურა, გაეცნო ქართველი ხალხის ყოფაცხოვრებას, ეთნოგრაფიასა და ხელოვნებას.¹ XX ს-ის დასაწყისში კი, როდესაც იგი რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა, საკუთარი ინიციატივით აზომდა საქართველოსა და სომხეთის ძეგლები. 1903 წელს გამოხაზა ბოლნისის სიონის გეგმა;²

1. ალ. სიგუა. ანატოლი კალგინი. ჟურ. „თეატრალური მოამბე“. №2. 1976. თბ., გვ. 55.
2. კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა. 1924. თბ., გვ. 5.

In his student years, Anatoly Kalgin traveled all over Georgia, got familiar with the life of Georgians, ethnography and art.¹

At the beginning of the XX c., having arrived in Georgia from Russia on his own initiative, he took measurements of Georgian and Armenian monuments. He made a drawing of Bolnisi Sioni in 1903;² in 1907, together with

1. Al. Sigua. Anatoly Kalgin. Journ. "Teatraluri Moambe" #2. 1976. Tb., p. 55
2. Catalogue of ancient Georgian architecture exhibition. 1924. Tb. Tb., p. 5

ბოლნისის სიონი (V ს.). აღმოსავლეთი ფასადი. ანატოლი კალგინი, ჰენრიკ ჰრინიევსკი. 1903 წ. ქაღალდი, აკვარელი. 58X90 სმ. სპმ.

BOLNISI SIONI (V C). EAST FAÇADE.
ANATOLY KALGIN, HENRYK HRYNIEWSKI. 1903.
PAPER, WATERCOLOR. 58X90 CM. GNM.



Гр. арх. А. Калитин.
Здание П. Печенского.





1907 წელს ჰენრიკ ჰრინევსკისთან ერთად აკვარელით შეასრულა ბოლნისის სიონის ფასადი და ფიტარეთის ტაძრის განაკვეთი, ხოლო ტომაშევსკისთან ერთად ფიტარეთისა და გუდარეხის ფასადები; 1910 წელს აზომა ფიტარეთისა და ყინწვისის ტაძრები და გამოხაზა მათი გეგმები; 1911 წელს გ. ებრალიძესთან ერთად შეასრულა წულრულაშენის გეგმა;

Henryk Hryniewski, he painted in water-colors facade of Bolnisi Sioni and a section of Pitareti Monastery, and together with Tomashewski – facades of Pitareti and Gudareti; in 1910 he made measurements of Pitareti and Kintsvisi monasteries and drew up their plans; in 1911 together with G. Ebralidze he drew up Tsughrughasheni church plan; together with G. Ebralidze also


ფიტარეთი (XIII ს.). აღმოსავლეთ ფასადის ქვედა ნაწილი. ანატოლი კალგინი, ტომაშევსკი. 1907 წ. ქაღალდი, თუში, კალამი. დაფერილი. 65X99 სმ. სმმ.

PITARETI (XIII C.) LOWER PART OF EAST FAÇADE. ANATOLY KALGIN, TOMASHEVSKI. 1907. PAPER, INDIAN INK, COLORED PENCIL. 65X99 CM. GNM.

ფიტარეთი (XIII ს.). განაკვეთი, ხედი ჩრდილოეთისკენ. ანატოლი კალგინი, ჰენრიკ ჰრინევსკი. 1907 წ. ქაღალდი, აკვარელი. 91X55 სმ. სმმ.

PITARETI (XIII C.) CROSS-SECTION, VIEW TOWARDS NORTH. ANATOLY KALGIN, HENRYK HRYNIEWSKI. 1907. PAPER, WATERCOLOR. 91X55 CM. GNM.





ფიტარეთი (XIII ს.). გეგმა.
ანატოლი კალგინი, თომაშევსკი. 1907 წ.
მუყაო, ტუში. 60X80 სმ. სმ.

PITARETI (XIII C.) PLAN.
ANATOLY KALGIN, TOMASHEVSKY. 1907.
CARDBOARD, INDIAN INK. 60X80 CM. GNM.

ფიტარეთი (XIII ს.)
PITARETI (XIII C.)



უფლისციხის კომპლექსი
UPLISTSIKHE. COMPLEX OF CAVES



უფლისციხე. გამომკვამულთა კომპლექსი. გეგმები.
ანატოლი კალგინი, გ. ებრალიძე. 1911 წ.
ქაღალდი, ტუში. 65X54 სმ. სმ.

UPLISTSIKHE. COMPLEX OF CAVES. LAYOUT.
ANATOLY KALGIN, G. EBRALIDZE. 1911.
PAPER, INDIAN INK. 65X54 CM. GNM.

გ. ებრალიძესთან ერთად მუშაობდა ანატოლი კალგინი უფლისციხის კომპლექსის გეგმებზეც, რომელთაგან მხოლოდ მთავარი ტაძრის გეგმა დათარიღებული 1911 წლით,³ დანარჩენი ნახაზების თარიღი უცნობია, მაგრამ სავარაუდოდ, გამოქვამულის გეგმებიც იმავე წელსაა შესრულებული. მოგვიანებით, 1917 წელს, ისევ გ. ებრალიძესთან ერთად შეასრულა ქაფანაქჩის ტაძრის, ხოლო 1918 წელს დამოუკიდებლად ყინწვისის ტაძრის გეგმები.




ანატოლი კალგინისა და მისი შემოქმედებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ტაო-კლარჯეთში მოწყობილ ექსპედიციებში მონაწილეობა.

3. კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა. 1924. თბ., გვ. 6.

worked on the plans of Uplistsikhe cave-town complex; here only main cathedral's plan has got a date – 1911³, the dates of the rest of the plans are unknown, but most probably plans of caves were drawn up in the same year. Later, in 1917, again with G. Ebralidze, he drew up a plan of Kapanakchi Cathedral, and in 1918 independently drew up Kintsvisi Monastery plans. Participation in the expeditions to Tao-Klarjeti has a crucial part in Anatoly Kalgin's creative work.

Vast territories of west Georgia, which were seized by Ottoman Turks in XVI c. during Russian-Turkish war between XIX c and turn of the XX c. were controlled

3. Catalogue of ancient Georgian architecture exhibition. 1924. Tb., p. 6.





უფლისციხე. გამომჟღავნებულთა კომპლექსი. გეგმაები.
ანატოლი კალგინი, გ. ებრალიძე. 1911 წ.
ქალაქი, ტუში. 66X96, 63X102, 65X97, სმ. სმ.

UPLISTSIKHE. COMPLEX OF CAVES. LAYOUT.
ANATOLY KALGIN, G. EBRALIDZE. 1911.
PAPER, INDIAN INK. 66X96, 63X102, 65X97 CM. GNM.

უფლისციხე. მთავარ შენობათა კომპლექსი. განაკვეთი.
ანატოლი კალგინი, გ. ებრალიძე. 1911 წ.
ქალაქი, ტუში. 58X116 სმ. სმ.

UPLISTSIKHE. COMPLEX OF CAVES. LAYOUT.
ANATOLY KALGIN, G. EBRALIDZE. 1911.
PAPER, INDIAN INK. 58X116 CM. GNM.






უფლისციხე. გამომკვებულთა
კომპლექსის გეგმა.
ანატოლი კალგინი, გ. ებრალიძე. 1911 წ.
ქალაქი, თბილ. 64X100 სმ. სმ.

UPLISTSIKHE. COMPLEX OF CAVES. LAYOUT.
ANATOLY KALGIN, G. EBRAIDZE. 1911.
PAPER, INDIAN INK. 64X100 CM. GNM.

უფლისციხე. სვეტებიანი დარბაზისა
და მცირე დარბაზის გეგმა.
ანატოლი კალგინი, გ. ებრალიძე.
1911 წ. ქალაქი, თბილ. 60X96 სმ. სმ.

UPLISTSIKHE. LAYOUT OF A HALL WITH
COLUMNS AND SMALL HALL.
ANATOLY KALGIN, G. EBRAIDZE. 1911.
PAPER, INDIAN INK. 60X96 CM. GNM.





უფლისციხის კომპლექსი
UPLISTSIKHE. COMPLEX OF CAVES



ბანა (VII ს.)
BANA (VII C.)

XVI საუკუნეში ოსმალების მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვრცელი ტერიტორია რუსეთ-თურქეთს შორის XIX ს-სა და XX ს-ის დასაწყისში მიმდინარე ომის დროს, გარკვეულ პერიოდში, რუსეთი აკონტროლებდა. ამან ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა მისცა, ემოგზაურათ ამ მხარეში და შეესწავლათ აქამდე შეუსწავლელი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები. ექვთიმე თაყაიშვილმა 1902-1917 წლებში სამხრეთ საქართველოში გამართა სამი დიდი ექსპედიცია, რომელთა მიზანი იყო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების კვლევა და ფრესკების, რელიეფების, წარწერათა პირების გადმოღება.

ამ ექსპედიციათაგან ანატოლი კალგინი 1907 და 1917 წლების ექსპედიციებში მონაწილეობდა. ექვთიმე თაყაიშვილის 1907 წლის (ისევე როგორც 1902 წლის) ექსპედიცია შედგა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დახმარებით. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, „...ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ სამოქალაქო ინჟინერი ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი, თბილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ედუარდ კარლოს ძე ლიოზენი. ა. ნ. კალგინმა დაზომა ე. კ. ლიოზენმა ფოტოგრაფიულად გადმოიღო ყველა ასე თუ ისე საყურადღებო ნახული ძეგლები“.⁴

ექსპედიციის წევრები იმყოფებოდნენ არტაანის, ოლთისის, ყალიზმანის ოლქებში. კალგინმა

4. ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. ტ.1. 2016. თბ., გვ. 28.



by Russia. This allowed Georgian scientists to travel to this part of the country and study the monuments of Georgian architecture that had not been previously studied. Ekvtime Takaishvili organized three important expeditions to South Georgia in 1902-1917; the aim of these expeditions was studying ancient Georgian architecture and making copies of frescos, reliefs, and inscriptions. Ekvtime Takaishvili participated in the 1907- and 1917-year expeditions. Expedition led by Ekvtime Takaishvili in 1907 (as well as one in 1902) was arranged with the assistance of Moscow Archaeological Society.

According to Ekvtime Takaishvili “...we invited civil engineer Anatoli Nikolayevich Kalgin and volunteer photographer, Eduard Karlovich Liozen, teacher of French language



ბანა (VII ს.)
BANA (VII C.)





ბანა (VII ს.). დასავლეთი ფასადი, რეკონსტრუქცია.
ანატოლი კალგინი. 1907 წ.
ქალაქი, ტუში. დაფერილი. 52x81 სმ. სპ.


BANA (VII C.) WEST FAÇADE, RECONSTRUCTION.
ANATOLY KALGIN. 1907.
PAPER, INDIAN INK. COLORED. 52X81 CM. GNM.

აზომა ისეთი მნიშვნელოვანი
ტაძრები, რომლებიც მანამდე
არავის აუზომავს. ესენია:
ტაოსკარი, კალმახი, ბობოსგირი,
ქარგლუხი, კინეპოსი, ოლთისის
ეკლესია, ოლთისის ციხის მღვიმის
დარბაზი, ჩანგლის დიდი ტაძარი
და ფანასკერტის ციხე და ეკლესია.
იმ წელს გაზომილ ტაძართაგან
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო
ბანას ეკლესია. ექსპედიციის
წევრებს ძველი უკვე დაზიანებული
დახვდათ. ტაძრის მხოლოდ
გარკვეული ნაწილი იყო
შემორჩენილი. კალგინმა შეადგინა
ბანას რეკონსტრუქციის საკუთარი
ვარიანტი.

*at the II Gymnasium for boys,
to participate in the expedition.
A.N. Kalgin made measurements and
E.K. Liozen took photos of more or
less important monuments”.*⁴

Expedition members visited Artaani,
Oltisi Kaghizmani districts. Kalgin
made measurements of such
important cathedrals that had
never been studied before. These
are: Taoskari, Kalmakhi, Bobosgiri,
Kerklukhi, Kineposi, Oltisi church, the
hall of the Oltisi fortress cave, big
cathedral of Changli, and Panaskerti

4. Ekv. Takaishvili. Literary works. Vol. 1. 2016.
Tb., p. 28.




„ბანას ტაძარი ასშენებულია განგებ მემოდ დავაკებულს მრგვალი ბორცვზე და ძველად მოზღუდული იყო ქვითკირის გალავნით, რომელიც ეხლა განადგურებულია: გეგმით ეს არის კოლოსალური ზომის სამსართულიანი მრგვალი ეკლესია, ფრიად რთული კომპოზიციისა, მაგრამ ერთობ მხატვრულად შესრულებული“, – წერდა ექვთიმე თაყაიშვილი.⁵ ბანას ტაძარი VII ს-ით თარიღდება. ეს არის ტეტრაკონქი სვეტებზე დაყრდნობილი გამჭოლთალებიანი

fortress and church. The most important monument among those was Bana church. Upon arrival, the members of the expedition found the monument already damaged. Only a certain part of the cathedral had been retained. A. Kalgin created his own version of Bana reconstruction. *“Bana cathedral is built on intentionally levelled round hill and in old times was surrounded by a stone rampart, which is now deteriorated: according to the plan this is a three-floored round church of colossal size and complicated composition, but rather creatively accomplished”*. – wrote Ekvtime

5. ექ. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. 1938. პარიზი გვ. 20.

ბანა (VII ს.). ბანაკვეთი, რეკონსტრუქცია.
ანატოლი კალგინი. 1907 წ.
ქალაქი, ტუში. დაფერილი. 52X70 სმ. სმ.

BANA (VII C.) CROSS-SECTION, RECONSTRUCTION.
ANATOLY KALGIN. 1907.
PAPER, INDIAN INK. COLORED. 52X70 CM. GNM.



ბანა (VII ს.). I სართულის გეგმა, ანაზოში და რეკონსტრუქცია. ანატოლი კალგინი. 1907 წ. ქალაქი, ტუში. ამოკრეცვა. 80X52 სმ. სპ.

BANA (VII C.) LAYOUT OF THE I FLOOR, MEASURED DRAWING AND RECONSTRUCTION. ANATOLY KALGIN. 1907. PAPER, INDIAN INK. COLORED. 80X52 CM. GNM.

ბანა. ვახტანგ ცინცაძის რეკონსტრუქცია

(დომინიკი თუმანიშვილი. რუსუდან მეპისაშვილი. ბანას ტაძარი - შენაშენისა და რეკონსტრუქციის საკითხები. თბ., 1989.)

BANA. RECONSTRUCTION BY VAKHTANG TSINTSADZE (DIMITRI TUMANISHVILI. RUSUDAN MEPISASHVILI. BANA CATHEDRAL - ISSUES OF RESEARCH AND RECONSTRUCTION. TB., 1989.)



გარშემოსავლელით. სავარაუდოდ, შიდა სივრცე – მაღლა აზიდული გუმბათი, სვეტების კოლონა და თაღები ძალზე შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით საინტერესოა სვეტისთავეები, რომლებიც ანტიკურ სამყაროში ასე ცნობილი იონური სვეტისთავეების სტილიზებული ვარიანტებია.⁵

ჯერ კიდევ 1902 წელს, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ პირველად მოწყობილი ექსპედიციის დროს, ბანას ტაძარი არქიტექტორმა სიმონ კლდიაშვილმა აზომა, შეასრულა მისი გეგმები და სავარაუდო რეკონსტრუქცია ტაძრის განაკვეთისა.

ამჟამად ბანას ექსტერიერის რეკონსტრუქციის ორი ვარიანტი არსებობს. პირველი შედგენილია ანატოლი კალგინის, ხოლო მეორე უფრო მოგვიანებით – ვახტანგ ცინცაძის მიერ. ორივე შემთხვევაში ტაძარი სამსართულიანია და ასახულია მისი დასავლეთი ფასადი. კალგინისეულ რეკონსტრუქციაზე პირველ და მეორე იარუსის დონეზე კედელს უწყვეტი სარკმლების რიგი მიუყვება, რომელიც გაფორმებულია დეკორატიული თაღებით. მეორე სართულის თაღზე კუთხის ოთახებია ამოყვანილი. ცინცაძის ვარიანტზე პირველი სართულის დონე ანალოგიურია, ხოლო მეორე სართულზე სარკმლების რაოდენობა თითქმის განახევრებულია. კუთხის ოთახები საერთოდ არ ჩანს, რაც უფრო ლოგიკურია, ვინაიდან ამ სიმაღლეზე ამოყვანილი კუთხის ოთახები სხვა არც ერთ ქართულ ძეგლში არ გხვდება. გუმბათიც


6. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. 1974. თბ., გვ. 33.

Takaishvili.⁵ Bana Cathedral dates to the VII c. This is tetraconch church with a gallery in the form of penetrating arch resting on columns. Most probably, the internal space – high dome, columns and arches must have been very impressive. Especially interesting are capitals, which are stylized versions of Ionian capitals, which were so famous in the antique world.⁶

Back in 1902, during the first expedition arranged by Ekvtime Takaishvili, Bana Church was measured by architect Simon Kldiashvili, who drew up its plans and created probable reconstruction of the church section. Currently there are two versions of reconstruction of Bana exterior. First was created by Anatoly Kalgin, and second created later by Vakhtang Tsintsadze. In both cases, the church is three-storied with a depiction of the western facade. In Kalgin's reconstruction on the levels of the first and second tiers we have an uninterrupted row of windows, which are adorned with decorative arcades. On the second floor, corner rooms are built. In Tsintsadze's version the first floor is analogous, but on the second floor the number of windows is twice less. Corner rooms are not visible at all, which is more logical, since corner rooms raised up to this height are not represented in any other Georgian monument. The dome is also different. In Kalgin's

5. Ekv. Takaishvili. Archaeological expedition to Kola Oltis and Changli in 1907. 1938. p. 20. Paris

6. V. Beridze. Ancient Georgian Architecture. 1974. Tb., p. 33.



განსხვავებულია. კალგინის ვარიანტში მასზე სარკმლების ერთიანი უწყვეტი რიგია და დაბალ ყელზე ამოყვანილი მაღალი კონუსისებური გადახურვა, ცინცაძესთან წარმოდგენილია გუმბათის დაბალი, რვაწახნაგა ყელი, რომელშიც გაჭრილია ოთხი სარკმელი (რეკონსტრუქციაში ჩანს ერთი, დასავლეთის მხრიდან). ამგვარ სარკმლებს ვხვდებით იმ პერიოდის სხვა ქართულ ძეგლებზეც – მცხეთის ჯვარზე, სამწევრისზე, ატენსა და სხვ.⁷


ფასადის ასეთი გადაწყვეტა მხოლოდ ვარაუდია და დაზუსტებით ვერ ვიტყვით, თუ როგორი იყო ბანას ტაძრის ზედა ნაწილი.

7. რ. მეფისაშვილი, დ. თუმანიშვილი. ბანას ტაძარი – შესწავლისა და რეკონსტრუქციის საკითხები. 1989. თბ., გვ. 29.

version there is a continuous single row of windows and high conoidal roofing raised on a low tholobate. Tsintsadze's version offers low eight-faceted tholobate, which has four windows (reconstruction shows only one, from western side). We come across similar windows in other Georgian monuments of that period – Mtkheta Jvari, Samtsverisi, Ateni, etc.⁷

Such a solution of the facade is just an assumption and we cannot say what the Bana Cathedral's upper side looked like. In addition to the reconstruction of the facade he drew up plans of the first and second floors, dome plan, cathedral cross-section and plans of a small domed

7. R. Mepisashvili, D.Tumanishvili. Bana Cathedral – Issues of research and reconstruction. 1989. Tb., p.29.



ბანა (VII ს.). გუმბათის გეგმა და რეკონსტრუქცია. ანატოლი კალგინი. 1907 წ. ქალაქი, ტუში. დაფერილი. 53X64 სმ. სპმ.

BANA (VII C.) PLAN OF THE DOME AND RECONSTRUCTION. ANATOLY KALGIN. 1907. PAPER, INDIAN INK. COLORED. 53X64 CM. GNM.

ბანას (VII ს.) მახლობლად მდებარე მცირე გუმბათიანი ტაძარი და გამოქვაბულის ეკლესიები. გეგმები. ანატოლი კალგინი. 1907 წ. ქალაქი, ტუში. დაფერილი. 31X25 სმ. სპმ.

BANA (VII C.) NEARBY SMALL DOMED CATHEDRAL AND CAVE CHURCHES. LAYOUTS. ANATOLY KALGIN. 1907. PAPER, INDIAN INK. COLORED. 31X25 CM. GNM.





ანატოლი კალგინმა, ფასადის რეკონსტრუქციის გარდა, შეადგინა პირველი და მეორე სართულის გეგმები, გუმბათის გეგმა, ტაძრის განაკვეთი და ბანასთან ახლოს მდგარი მცირე გუმბათიანი ტაძრისა და გამოქვაბულის ეკლესიის გეგმები.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ჩასულიყვნენ ჩანგლსა და ყარსში, მაგრამ ეს რაიონი ვერ

church near the Bana Cathedral and cave churches plans.

As Ekvtime Takaiashvili notes, they had decided to visit Changli and Kars, but failed to do so due to illness of Anatoly Kalgini and photographer Eduard Liozen. They came down with Malaria in Oltis and were not strong enough to ride horses.⁸

8. Ekv. Takaiashvili. Literary works. Vol.1 2016. Tb., p.28.

ხახული. მთავარი ტაძარი (X ს.). სამხრეთი ფასადი. ანატოლი კალგინი, ბ. რიაბოვი. 1917 წ. ქალაქი, თუში, კალამი, დაფერილი. 91X107 სმ. სმ.

KHAKHULI. MAIN CATHEDRAL (X C.) SOUTH FAÇADE. ANATOLY KALGIN, B. RYABOV. 1917. PAPER, INDIAN INK, PEN, COLORED. 91X107 CM. GNM.



სახული. მთავარი ტაძარი (X ს.). განაკვეთი, ხედი
სამხრეთისაკენ. ანატოლი კალგინი, ბ. რიაბოვი. 1917 წ.
ქაღალდი, ტუში. 77x93 სმ. სან.

KHAKHULI. MAIN CATHEDRAL (X C.) CROSS-SECTION, VIEW
TOWARDS SOUTH. ANATOLY KALGIN, B. RYABOV. 1917.
PAPER, INDIAN INK. 77X93 CM. GNM.

ნახეს კალგინისა და ფოტოგრაფ
ედუარდ ლიოზენის ავადმყოფობის
გამო, რომლებიც ოლთისში
მალარიით დაავადნენ და ცხენით
მგზავრობა ველარ შეძლეს.⁸


ქართული კულტურის ამ
უმნიშვნელოვანესი ძეგლების
მონახულების შემდეგ 1917 წლის,
8 ივლისს, ექსპედიცია უკიდურესი
სამხრეთით მდებარე პროვინცია
ტაოში გაემგზავრა.⁹

8. ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. ტ.1. 2016.
გვ. 28. თბილისი.

9. დ. ხოშტარია. ექვთიმე თაყაიშვილი. ტაო-
კლარჯეთის სიძველეთა მკვლევარი. დიდი
ექვთიმე. 2014. თბ., გვ. 158.

After visiting these most significant
monuments, on 8th July 1917
the expedition headed to Tao,
located in the extreme South.⁹ The
members of the expedition were:
Anatoly Kalgin, painters Dimitri
Shevardnadze, Lado Gudiashvili,
Mikheil Chiaureli, abbot and
hieromonk of Vardzia Monastery
Ipolite, and Ilya Zdanevich. According
to E. Takaishvili's memories I.
Zdanevich combined painting and
alpinist functions. About Kalgin he
writes: "We consider it our ethical

9. D. Khoshtaria. Ekvtim Takaishvili – The re-
searcher of Tao-Klarjeti ancient monuments.
Great Ekvtim. 2014. Tb., p. 158.



ხახული

ანატოლი კალგინის
და ბ. რიბოვის
ხელნაწილი
A. Kalgin
B. Rybov

ექსპედიციის წევრები იყვნენ: ანატოლი კალგინი, მხატვრები: დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი; ვარძიის მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი იპოლიტე; ილია ზდანევიჩი, რომელსაც, თაყაიშვილის მოგონებების მიხედვით, მხატვრობასთან ერთად ალპინისტის ფუნქცია ჰქონდა შეთავსებული. თავად კალგინის შესახებ კი წერს: „ჩვენ მნეობრივ მოვალეობად მივგაჩნია დიდი პატივით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ინჟინერი ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი, რომელმაც

*responsibility to remember the late engineer Anatoli Nikolayevich Kalgin, who measured Ishkhani, Oshki and Khakhuli Cathedrals, copied estampages of some bas-reliefs and took large-scale photos of the three cathedrals”.*¹⁰

In the years of independence, it became possible to draw up plans for cathedrals based on measurements made during expeditions, including drawings created by A. Kalgin and various authors who worked on his

10. Ekv. Takaishvili. Literary works. Vol.1 2016. Tb., p.28.

ხახული. მთავარი ტაძარი (X ს.). დასავლეთი ფასადი. ანატოლი კალგინი, ბ. რიბოვი. 1917 წ. ქაღალდი, ტუში, კალამი. დაფერილი. 66X88 სმ. სმმ.

KHAKHULI. MAIN CATHEDRAL (X C.). WEST FAÇADE. ANATOLY KALGIN, B. RYBOV. 1917. PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 66X88 CM. GNM.



ოშკი. მთავარი ტაძარი (963-973 წწ.).
OSHKI. MAIN CATHEDRAL (963-973).

ოშკი. მთავარი ტაძარი (963-973 წწ.). აღმოსავლეთი
ფასადი. ანატოლი კალგინი, მ. კერნი. 1917 წ.
ქალაქი, ტუში, კალაში. დაფარილი. 100x77 სმ. სმ.

OSHKI. MAIN CATHEDRAL (963-973). EAST FAÇADE.
ANATOLY KALGIN, M. KERN. 1917.
PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 100X77 CM. GNM.

*დაზომა იშხნის, ოშკისა და ხახულის
ტაძრები, გადმოიღო ზოგიერთი
ბარელიეფის ესტამპაჟები და სამივე
ტაძრის დიდი ფოტოგრაფიული
სურათები*.¹⁰

საქართველოს დამოუკიდებლობის
წლებში მოხერხდა ამ
ექსპედიციების დროს აზომილი
ტაძრების ნახაზების შედგენა,
რომლებშიც შედიოდა ანატოლი
კალგინის ან მისი ანაზომების
მიხედვითა და ხელმძღვანელობით
სხვადასხვა ავტორის მიერ

10. ექ. თაყაიშვილი. თბულებანი. ტ.1. 2016.
თბ., გვ. 28.

measurements and under his
guidance. These works along with
other materials obtained during
other expeditions were displayed in
an exhibition of Ancient Georgian
Architecture arranged by the
Georgian Historical and Ethnographic
Society on 14th August 1920.¹¹
Ekvtime Takaisvili shares information
about this event: *“It became possible
to arrange an exhibition of Ancient
Georgian Architecture; the exhibition
was organized by Georgian Historical
and Ethnographic Society in 1920*

11. Catalogue of ancient Georgian architec-
ture exhibition. 1924. Tb.



М У К П



Обмерилъ и руководилъ: А. Кашинъ

Исполнилъ: Криво






ოშკი. მთავარი ტაძარი (963-973 წწ.). განაკვეთი, ხედი
აღმოსავლეთისკენ. ანატოლი კალგინი, მ. კერნი. 1917 წ.
ქალაქი, თუში, კალაში. დაფერილი. 97X90 სმ. სმ.

OSHKI. MAIN CATHEDRAL (963-973). CROSS-SECTION, VIEW
TOWARDS EAST. ANATOLY KALGIN, M. KERN. 1917.
PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 97X90 CM. GNM.

ოშკი. მთავარი ტაძარი (963-973 წწ.). სამხრეთი ფასადი.
ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი, მ. კერნი. 1917 წ.
ქალაქი, თუში, კალაში. დაფერილი. 126X98 სმ. სმ.

OSHKI. MAIN CATHEDRAL (963-973). SOUTH FAÇADE.
ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV, M. KERN. 1917.
PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 126X98 CM. GNM.

ოშკი. მთავარი ტაძარი (963-973 წწ.)
OSHKI. MAIN CATHEDRAL (963-973)




შესრულებული ნახაზები. ისინი, ისევე როგორც სხვა ექსპედიციებში მოპოვებული მასალა, წარმოდგენილი იყო მოგვიანებით, 1920 წლის 14 აგვისტოს, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენაზე.¹¹ ექვთიმე თაყაიშვილი ამის შესახებ იძლევა შემდეგ ინფორმაციას: „შესაძლო გახდა გამოფენის მოწყობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა; გამოფენა გამართული იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ 1920 წელს თბილისის სამხატვრო გალერეიაში, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, ქართული კატალოგი გამოფენისა შედგენილი იყო ჩემ მიერ, ხოლო რუსული დიმიტრი გორდეევის მიერ.

კატალოგში მოყვანილია მოკლე ცნობები გამოფენილ ძეგლთა შესახებ და დაწვრილებით ნაჩვენებია ავტორები, რომლებმაც გეგმები და ნახაზები შეასრულეს, რა თქმა უნდა, ა. კალგინის დაზომვის მიხედვით...“¹²

1924 წელს კი ტფილისის უნივერსიტეტმა (დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გამოსცა ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, სადაც სხვა ავტორებთან ერთად დაბეჭდილი იყო კალგინის მიერ აზომილი ძეგლებიც. ტაო-კლარჯეთის ორ ექსპედიციაში

11. კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა. 1924. თბ.

12. ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. ტ.1. 2016. თბ., გვ. 29.



at Tbilisi Art Gallery, which had a significant impression on the society, I prepared the Georgian version of the exhibition catalogue, and Russian version was done by Dimitri Gordeev. The catalogue demonstrates short notes about displayed monuments and describes in details information about authors who drew up plans and designs, of course according to A.Kalgin's measurements...¹²

In 1924 Tbilisi University (current Ivane Javakhishvili Tbilisi State University) issued an Album of Georgian Architecture, which published other authors alongside with monuments measured by A.Kalgin. Results of his participation

ოშკი. მთავარი ტაძარი (963-973 წწ.). | სართულის გეგმა. ანატოლი კალგინი, მ. კერნი. 1917 წ. ქალაქი, თუში, კალაში. დაფარილი. 84X107 სმ. სკმ.

OSHKI. MAIN CATHEDRAL (963-973). LAYOUT OF THE I FLOOR. ANATOLY KALGIN, M. KERN. 1917. PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 84X107 CM. GNM.


12. Ekv. Takaiashvili. Literary works. Vol.1 2016. Tb., p.29.

იშხანი

სამხრეთის ფასადი

იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.). სამხრეთი ფასადი.
ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი. 1917 წ.
ქალაქი, თუში, აკვარელი. დაფერილი. 98X104 სმ. სემ.

ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.) SOUTH FAÇADE.
ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV. 1917.
PAPER, INDIAN INK, WATERCOLOR. COLORED. 98X104 CM. GNM.



Объёмный и натурный - руководил *А. Калгин*

Исполнил *Н. Северов*



მისი მონაწილეობის შედეგები კი ასეთია: 1907 წელს აზომბა ტაძრები: ბანა, ოთხთა, დადაშენ-კალა, კოზორი, ოლთისის წყარო, ტაოსკარი; მ. კერნთან ერთად შეასრულა ტაოსკარის, ბ. რიაბოვთან ერთად ჩანგლის ტაძართა ნახაზები;¹³ ნიკოლოზ

in two expeditions in Tao-Klarjeti are as follows: in 1907 he measured: Bana, Otkhta, Dadashen-Kala, Kozori, Oltisis tskaro, Taoskari; Together with M. Kern he drew up plans of Taoskari Cathedral and with B. Ryabov – Changli Cathedral drawing;¹³ Together with Nikolay Severov he drew up plans of

იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.). მთავარი ტაძარი (XI ს.). ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი. 1917 წ. ქალაქი, თბილისი, კალაში. დაფარილი. 70X62 სმ. ს.მ.

ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.). AXONOMETRIC CROSS-SECTION. ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV. 1917. PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 70X62 CM. GNM.

13. მ. კერნი და ბ. რიაბოვი, კალგინთან თანამშრომლობის გარდა, იმყოფებოდნენ აკადემიკოსს ფიოდორ უსპენსკის ტრაპიზონის ექსპედიციაში, ნიკოლოზ სევეროვთან ერთად. ექ. თაყაიშვილი. თხზულებანი. ტ.1. 2016. თბ., გვ. 264. ვახტანგ ბერიძე თავის მოგონებებში წერს, რომ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ სევეროვი საქართველოში დარჩა, ხოლო რიაბოვი და კერნი სად წავიდნენ არ იცის. ვ. ბერიძე. მოგონებები. 1987. თბ., გვ. 266.

13. M. Kern and B. Ryabov in addition to working with A. Kalgin, participated in an expedition to Trabzon arranged by Academician Fyodor Uspensky together with Nikolay Severov. Ekv. Takaiashvili. Literary works. Vol.1 2016. Tb., p.264. Vakhtang Beridze writes in his memories that after establishment of Soviet regime Severov stayed in Georgia, and where Kern and Ryabov traveled he does not know. V.Beridze. Memories. 1987. Tb., p. 266.

იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.). მთავარი ტაძარი (XI ს.). ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი. 1917 წ. ქალაქი, თბილისი, კალაში. დაფარილი. 85X63 სმ. ს.მ.

ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.). CROSS-SECTION, VIEW TOWARDS EAST. ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV. 1917. PAPER, INDIAN INK, PEN. COLORED. 85X63 CM. GNM.




იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.)
ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.)

იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.). აღმოსავლეთი ფასადი.
ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი. 1917 წ.
ქალაქი. დაფერილი. 80X60 სმ. სმმ.

ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.). EAST FAÇADE.
ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV. 1917.
PAPER. COLORED. 80X60 CM. GNM.

სევეროვთან ერთად – კალაჯუხის ციხის, ბობოსგირის, ოლთისის, ჭერნაკის, ბახჩალიქიშლას, კალმახის ნახაზები. ამ წელს აზომილი ძეგლებიდან ყველაზე მეტი კალგინის ხელმძღვანელობით შეასრულა ტექნიკოსმა გ.ებრალიძემ: აკრიაკი, ორთული, კალმახი, ტაოსკარი, ლექსორი, კოპი, ფანასკერტის ციხე და ეკლესია, ხახულის მცირე ეკლესია, ოდისი, ჭერმანიაკი, ბარდანესი, კოტრესი, კარნავაზი, უკიამი, კინეპოსი,

Kalajukhi Fortress, Bobosgiri, Oltisi, Hernaki, Bakhchaliqishla, Kalmakhi. Technician G. Ebralidze drew up the plans of the greatest number of monuments that were measured by A. Kalgin that year: Akriak, Ortuli, Kalmakhi, Kerklukhi, Taoskari, Leksori, Kopi, Panaskerti fortress and church, Khakhuli small church, Odisi, Hermianiaki, Zardanesi, Kotresi, Karnavazi, Ukiami, Kineposi, Jujursi, Kerklukhi, Parsadani, Okami. During expedition to Tao-Klarjeti in 1917 drawings of the most important



ОБЪЕМЪРИЛЪ СЪ НАТУРЫ И РУКОВОДИЛЪ А. Кавуш

Исполнилъ Ф. Сетсех





იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.)
ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.)

იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.).
საკურთხევლის სვეტიცხოვების ნახაზი.
ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი. 1917 წ.
ქალაქი, ტუში, კალამი. 33X49 სმ. სმმ.

ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.) DRAWING OF ALTAR CAPITALS.
ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV. 1917.
PAPER, INDIAN INK, PEN. 33X49 CM. GNM.

იშხანი. მთავარი ტაძარი (XI ს.). გეგმა.
ანატოლი კალგინი, ნიკოლოზ სევეროვი. 1917 წ.
ქალაქი, მუყაო, ტუში, კალამი. 95X62სმ. სმმ.


ISHKHANI. MAIN CATHEDRAL (XI C.) PLAN.
ANATOLY KALGIN, NIKOLAY SEVEROV. 1917.
PAPER, CARDBOARD, INDIAN INK, PEN. 95X62 CM. GNM.

ჯუჯურუსი, ქარგლუხი, ფარსადანი,
ტაოსკარი, ოკამი. 1917 წლის
ტაო-კლარჯეთის ექსპედიციის
დროს ყველაზე მნიშვნელოვანი
ძეგლების ნახაზები ანატოლი
კალგინის ანაზომისა და
მისი ხელმძღვანელობითაა
შესრულებული: ხახული
(სამხრეთი და დასავლეთი
ფასადები, განაკვეთი და
ინტერიერი) – რიაბოვის
მიერ, ოშკი (პირველი და
მეორე სართულის გეგმები,
აღმოსავლეთი ფასადი, განაკვეთი


monuments were done on the
basis of Kalgin's measurements
and under his direction: Khakhuli
(southern and western facades,
a section and interior); Ryabov
worked on Oshki (plans of the
first and second floors, eastern
facade, section drawing and frater;
Kern – on Oshki southern facade
together with Severov; Severov
worked on Ishkhani (plan, a section,
axonometric section drawing,
eastern and southern facades and
drawings of altar capital).

და სატრაპეზო) – კერნის მიერ, ოშკის სამხრეთი ფასადი ერთობლივად სევეროვისა და კერნის მიერ, ხოლო იშხანი (გეგმა, განაკვეთი, აქსონომეტრიული განაკვეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი ფასადი და საკურთხეველის სვეტისთავის ნახაზები) – სევეროვის მიერ.

ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მოწყობილი ექსპედიციების შედეგად მოპოვებული უნიკალური მასალა: ძეგლების ანაზომები, ფოტოები, მხატვრობის, წარწერებისა და საფასადო ქანდაკების ასლები თუ ეთნოგრაფიული მასალა დღესაც აქტუალურია ქართული მეცნიერებისთვის. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როდესაც ტაო-კლარჯეთი ათწლეულების განმავლობაში მიუწვდომელი გახდა ქართველი მკვლევრებისთვის, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ისტორიის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთის შესწავლა აღნიშნული ექსპედიციების დროს სხვადასხვა ავტორის, მათ შორის, ანატოლი კალგინის მიერ შესრულებულ გრაფიკულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ძეგლების ანაზომებსა და ნახაზებს, რომლებიც განადგურდა ან ძალზე დაზიანებული და შეცვლილი სახით მოაღწია ჩვენამდე. მათ შესახებ მსჯელობა ანატოლი კალგინის ნახაზების საშუალებითაა შესაძლებელი.




Unique materials obtained by the Historic and Ethnographic Society during expeditions, under direction of Ekvtime Takaishvili, are still actual for Georgian scholars: measurements of monuments, photos, paintings, inscriptions and copies of sculptural facade or ethnographic materials. After Sovietisation of Georgia, when Tao-Klarjeti became inaccessible for Georgian scholars for decades, studies of significant part of medieval architectural history in the framework of the abovementioned expeditions carried out by different authors was based on graphical documents created by Anatoly Kalgin. Most important are those measurements and drawings that had been deteriorated or run-down and reached us in an awry state. Discussions about them are possible based on A. Kalgin's drawings.





„ქართული სტილი“
"Georgian Style"



საუფლისნულო ღვინის სარდაფი
დიმიტრი ერმაკოვის ფოტო. სპ.
THE WINE CELLAR OF THE DEPARTMENT OF THE CROWN
LANDED PROPERTY. PHOTO BY DIMITRI ERMAKOV. GNM.



როგორც უკვე ითქვა, XX ს-ის დასაწყისის თბილისის ურბანული განვითარება ძალზე დინამიკურად და საინტერესოდ წარიმართა. საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები ფსევდოგოთურ, ფსევდორენესანსულ, ფსევდობაროკალურ, მავრიტანულ, ნეოკლასიცისტურ, თუ არ ნუვოს სტილით იგებოდა და თბილისიც თანდათან ხუროთმოძღვრულ სტილთა მრავალფეროვნებით ამავე პერიოდის ევროპულ ქალაქებს ემსგავსებოდა.

ასეთ ეკლექტურ ქალაქში „დაიბადა“ ე.წ. ქართული სტილი, რომელიც საქართველოში XIX ს-ის ბოლოდან დამკვიდრდა და შენობის არქიტექტურათა სახე შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული მოტივების აქტიური გამოყენებით ხასიათდება.

ე. წ. ქართული სტილით აგებული პირველი შენობები თბილისში XIX ს-ის II ნახევარიდან გაჩნდა.

As it was mentioned, urban development of Tbilisi was carried out dynamically and interestingly in the beginning of XX c.. Residential and public buildings were constructed in pseudo Gothic, pseudo Renaissance, Baroque, Mauritanian, Neoclassical and Art Nouveau styles and Tbilisi, with its diverse architectural styles, gradually started to look like other European cities of that period.

In such an eclectic city so-called Georgian style “was born”, which got established by the end of XIX c. and architectural images of the buildings were characterized by active usage of medieval Georgian architectural motifs.

First buildings constructed in so-called Georgian style appeared in Tbilisi from the II part of XIX c. such as, for example, Princely Wine Cellar, currently on Petre Melikishvili street, which is a Basilica type building decorated by arches; architect

მაგალითად, ასეთებია 1894 – 1896 წლებში არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვის მიერ აგებული საუფლისწულო უწყების ღვინის სარდაფი, დღევანდელი პეტრე მელიქიშვილის ქუჩაზე, რომელიც ბაზილიკის მსგავსი ნაგებობა, გაფორმებული დეკორატიული თალებით;

არქიტექტორ რობერტ გედიკემ¹ 1894 წელს ააგო ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტის შენობა შიო ჩიტაძის ქუჩაზე. ესაა წითელი აგურით ნაგები, მასიური შენობა, რომლის სარკმლისა და კარის საპირეები ქართული ორნამენტული მოტივითაა გაფორმებული.

XIX ს-ის 90-იან წლებს განეკუთვნება ქართული დეკორატიული მოტივებით შემკული კიდეგ ერთი ნაგებობა – საცხოვრებელი სახლი (გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა №22 არქ. ალბერტ ზალცმანი²), სადაც მთელი ფასადი ქართული ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო ორნამენტებითაა გაფორმებული;

1904-1910 წლებში, არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი³ აგებს ქაშვეთის ტაძარს. მის ნიმუშად აღებულია XI ს-ის სამთავისის ტაძარი. მაშინდელმა ეგზარქოსმა პროექტის ავტორებს რუსეთისთვის ტრადიციული ე.წ. ხახვისთავიანი ტაძრის გეგმა შესთავაზა.⁴ საბედნიეროდ ეკლესია აიგო თავდაპირველი პროექტით.

1. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801 – 1917 წლებში ტ. II. 1963. თბ., გვ. 84.
2. მ. მანია, გერმანელი არქიტექტორები თბილისში. 2018. თბ., გვ. 118.
3. მ. მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში. 2006. თბ., გვ. 56.
4. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლებში ტ. II. 1963. თბ., გვ. 84.



საქალებო ინსტიტუტი.
(დღეს საგარეო საქმეთა
სამინისტრო)


TRANSCAUCASIAN WOMEN'S
INSTITUTE. (CURRENT MINISTRY
OF FOREIGN AFFAIRS)

Robert Gödicke¹ constructed Transcaucasian Women’s Institute on Chitadze street in 1894. This building was erected in red brick, it was a massive building, which has ornamental motifs on the edges of its windows and doors.

One more residential building decorated in Georgian motifs refers to 90s of the XIX c. on Galaktion Tabidze street #22. (Architect – Albert Zaltsman;² its facade is fully decorated with ornaments typical to Georgian architecture;

In 1904-1910 architect Leopold Bilfeldt³ constructed Kashveti church. He took inspiration from the XIc. Samtavisi Cathedral. Exarch of those days suggested to the authors of the project to build “Onion dome” type church, traditional for

1. V. Beridze. Tbilisi Architecture in 1801 – 1917. Vol. II. 1963. Tb., p. 84.
2. M. Mania. German architects in Tbilisi. 2018. Tb., p. 118.
3. M. Mania. European architects in Tbilisi. 2006. Tb., p. 56.



ქაშვეთის ტაძარი
დიმიტრი ერმაკოვის ფოტოკოლექცია. სან.
KASHVETI CHURCH
DIMITRI ERMAKOV PHOTO COLLECTION. GNM.



ანატოლი კალგინის ე. წ. ქართულ სტილში მუშაობის მაგალითებად შეგვიძლია მოვიხმოთ მის მიერ შექმნილი ესკიზები, საკონკურსო პროექტები, შენობები და სხვ.

მეტად ნაყოფიერი იყო ანატოლი კალგინისა და მხატვარ ჰენრიკ ჰრინევსკის⁵ ერთობლივი მუშაობა.

1907 წელს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დააარსა ფონდი,⁶ რომელმაც, მის მიერ დატოვებული ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოცემის გარდა, მიზნად ილიას საფლავზე ძეგლის დადგმა განიზრახა. საფლავის ქანდაკება „მწუხარე საქართველო“ მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ შექმნა, ხოლო ძეგლის არქიტექტურული ნაწილი ინჟინერმა პეტრე მამრაძემ. არქიტექტურული ნაწილი სამნავიანი ბაზილიკის ფორმისაა და შემკულია ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტით. ძეგლის არქიტექტურულმა ნაწილმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ამიტომ მისი კორექტირების მიზნით ქართველთა შორის წერა-კითხვის

5. ჰენრიკ ჰრინევსკი, წარმოშობით პოლონელი მხატვარი, თბილისში მოღვაწეობდა. მისი შემოქმედება მოიცავს დაზგურსა და მონუმენტურ მხატვრობას, წიგნის ილუსტრაციას, არქიტექტურულ პროექტებს, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების, არქიტექტურული ფრაგმენტებისა და ეთნოგრაფიული ნივთების ჩანახატებს, რომლებსადაც მხატვრულთან ერთად დღეს დოკუმენტური ღირებულებაც აქვს. ამას გარდა, ჰენრიკ ჰრინევსკი ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას სამხატვრო აკადემიაში. სამწუხაროდ, იგი საბჭოთა რეჟიმის რეპრესიებს ემსხვერპლა. ბრალი დასდეს სამი ქვეყნის ჯაშუშობაში და დახვრიტეს 1938 წელს

6. საქართველოს ეროვნული არქივი. ფ. 481. აღ. 1. ს. 1045. გვ. 1.

Russian Cathedrals.⁴ Fortunately, the Cathedral was built according to the initial project.

Sketches, competitive projects, buildings, etc. created by A.Kalgin are good examples of how he worked in Georgian style. Joint work of Anatoly Kalgin and Henryk Hryniewski⁵ was extremely productive.

After assassination of Ilia Chavchavadze in 1907, the Society for Spreading Literacy among Georgians established a Fund⁶ which decided to publish I. Chavchavadze's literary heritage as well as to erect a statue on his grave. Iakob Nikoladze created grave sculpture – “Grieving Georgia”, and Petre Mamradze- its architectural part. The architectural part is of a three-nave basilica form, decorated by Georgian architectural ornament. Architectural part of the monument triggered mixed reaction in the society, that's why the Society for Spreading Literacy among Georgians formed a Commission to make corrections. Anatoly Kalgin and Henryk Hryniewski were among Commission members.

4. V. Beridze. Tbilisi Architecture in 1801-1917. Vol. II, 1963. p.84

5. Henryk Hryniewski, a painter of Polish origin, worked in Tbilisi. His creative work includes easel and monumental painting, illustration of books, architectural projects, sketches of Georgian architectural monuments, architectural fragments and ethnographical items, which have artistic and documental value. In addition, H. Hryniewski led active pedagogical activities in the Academy of Arts. Unfortunately, he became a victim of Soviet regime repressions. He was accused of spying for three countries and was executed in 1938.

6. Georgian National Archive. F. 481. Description 1, Case 1045. p. 1.

გამავრცელებელმა საზოგადოებამ კომისია შექმნა. კომისიის წევრებს შორის იყვნენ ანატოლი კალგინი და ჰენრიკ ჰრინევსკი.

სწორედ ჰრინევსკისთან ერთად იღებს მონაწილეობას ანატოლი კალგინი 1916 წელს გამოცხადებულ კონკურსში საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის შენობისთვის,⁷ რომელიც არ განხორციელდა. გაზეთ „სახალხო ფურცლის“ დამატებაში შენობის ამ საკონკურსო ვარიანტის ფოტოა,⁸ რომელზეც ჩანს, რომ შენობა ე. წ. ქართული სტილისაა, აქვს მაღალ პლატფორმაზე მდგარი და ტრადიციული ორნამენტებით შემკული შუა საუკუნეების გუმბათიანი ტაძრის ფორმა. არქიტექტურულ მასათა გადანაწილება არაორგანულია, პროპორციულად შეუსაბამოა ერთმანეთთან პლატფორმა და შენობის ძირითადი ნაწილი. ყველა ეს მოტივი (ღია აივნის გაფორმება, კაპიტელების მორთულობა, თაღების თემა) ანატოლი კალგინსა და ჰენრიკ ჰრინევსკის გამოყენებული ჰქონდათ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობაში, რომელიც თანამედროვე ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. XIX ს-ის მეორე ნახევარში დაწყებული ე. წ. ქართული სტილის შენობების აგების ტრადიცია და მთელი გამოცდილება, რაც ანატოლი კალგინმა თავისი

It was with Anatoly Kalgin that Henryk Hryniewski took part in the competition announced in 1916 for the construction of Pantheon for Public Figures,⁷ but the project was not implemented. In the addition to the newspaper “Sakhalkho Purtseli”, one can find the photo of the competition version of the building,⁸ which shows that the building is of so-called Georgian style, and has the form of medieval dome church standing on the high platform and is decorated with traditional ornaments. Distribution of architectural masses is not natural; platform and the main part of the building are not proportionally conforming with each other. Anatoly Kalgin and Henryk Hryniewski used all these motifs (decoration of open balconies, capitals, arch themes) in the building of the Nobility Bank, which represents one of the most important monuments of modern Georgian architecture. The tradition of constructing Georgian style buildings, which started in the II half of the XIX c. and the experience that A. Kalgin gained during his work, became the precondition for him to construct the Nobility Bank in 1916 at the intersection of Lado Gudiashvili and Nato Vachnadze streets. Today this building represents building I of the National Parliamentary Library.

Tender for the Nobility Bank started in 1912. The newspaper “Sakhalkho Gazeti” wrote: “The Board of the

7. დ. ხოშტარია. ქართული სტილი და იმპერიის არქიტექტორები. არქიტექტურა და იდენტობა. საეკლესიო მშენებლობა თბილისში (1801-1918 წლებში). 2016. თბ., გვ. 42.

8. გაზ. „სახალხო ფურცელი. სურათებიანი დამატება.“ 14 აგვისტო. №116. გვ.1. 1916.

7. D. Khoshtaria. Georgian style and architects of the Empire. Architecture and Identity. Ecclesiastic construction in Tbilisi (1801-1918). 2016. Tb., p. 42.

8. Newspaper “Sakhalkho Purtseli with pictorial insertion”. August 14. # 116. p.1. 1916





მოღვაწეობის განმავლობაში დააგროვა, გახდა წინაპირობა იმისა, რომ 1916 წელს ლადო გუდიაშვილისა და ნატო ვანნაძის ქუჩების გადაკვეთაზე სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი აეგო. ამჟამად ეს შენობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსია.


სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობისთვის კონკურსი 1912 წელს გამოცხადდა. გაზეთი „სახალხო გაზეთი“ წერდა: „ტფილისის საადგილ-მამულო სათავადაზნაურო ბანკის გამგეობამ გადაწყვიტა აიშენოს საკუთარი სახლი ლორის მელიქოვის ქუჩაზე. ამ მიზნისათვის ადგილი უკვე შეძენილია და საზოგადო კრებისათვის ასაშენებლად გადადებულია 350 ათასი მანეთი. მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ არის რა გეგმის უნდა იყოს ეს შენობა და არც გეგმა არის შედგენილი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავჯდომარემ ე. თაყაიშვილმა წინადადება მისცა ბანკის გამგეობას, რომ განზრახული შენობა აშენდეს ქართულის სტილით ასეთივე სტილით უნდა აშენდეს მომავალი ქართული მუზეუმის შენობაც. ქართული სტილის გამოსამუშავებელ მასალას აგროვებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება სთხოვს ბანკის გამგეობას მიიღოს მონაწილეობა ამ მასალის შეგროვების ხარჯში და შეგროვილის მასალით ისარგებლოს მომავალი შენობის სტილის გამოსამუშავებლად. ამის შესახებ ბანკის სამშენებლო კომისიას სხდომა ჰქონდა, რომელსაც დაესწრნენ სხვათა



Nobility Bank decided to build its own building on Loris Melikov street. For this purpose, the building has been purchased and for the society meeting 350,000 rubles are available. But it is not clear yet of what design the building should be and there is no design in particular. The Chairman of the Historical and Ethnographic Society Ekvtime Takaishvili advised the Board of the Bank that the expected building should be constructed in Georgian style and the same style should have the future Georgian Museum building. Georgian Historic and Ethnographic Society is collecting materials for sorting out Georgian style... and asks the Board of the Bank to participate in financing expenses for collection of materials and use the funds for the future design of the Bank building style. The Construction Commission of

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი

I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY NATIONAL LIBRARY



სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკონკურსო პროექტი – „სანა“. უცნობი ავტორი. 1912 წ. მუხაო. დაფერილი. 40X71 სმ. სმ.

COMPETITIVE DESIGN OF THE BANK OF THE NOBILITY – “SANNA”. UNKNOWN AUTHOR. 1912. CARDBOARD. COLORED. 40X71 CM. GNM.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკონკურსო პროექტი – „სკიხი“. უცნობი ავტორი. 1912 წ. მუხაო, ფანქარი. 59X65 სმ. სმ.

COMPETITIVE DESIGN OF THE BANK OF THE NOBILITY – “SKETCH”. UNKNOWN AUTHOR. 1912. CARDBOARD, PENCIL. 59X65 CM. GNM.

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკონკურსო პროექტი. უცნობი ავტორი. 1912 წ. ქალაქი, აკვარელი. 46X66 სმ. სმ.

COMPETITIVE DESIGN OF THE BANK OF THE NOBILITY. UNKNOWN AUTHOR. 1912. CARDBOARD, WATERCOLOR. 46X66 CM. GNM.



შორის ხუროთ-მოძღვარნი ტერ-მიქელოვი, კალგინი, აღაჯანოვი და კლდიაშვილი და ერთ ხმად დაადგინეს, რომ სასურველია ბანკის შენობა ქართულის გეგმით და სტილით იყოს აშენებული...“⁹


საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის, არქიტექტურული ანაზომებისა და ნახაზების ფონდში დაცულია კონკურსში შემავალი პროექტების ოცდასამი ნახაზი – ცხრამეტი გეგმა და, რაც ყველაზე საინტერესოა, ფასადის ოთხი ვარიანტი, რომელთა ავტორებიც ჯერჯერობით დადგენილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს პროექტი განუხორციელებელი დარჩა, მაინც ღირს თითოეულის განხილვა, რადგან ისინი თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით XX ს-ის დასაწყისის თბილისისა და, ზოგადად, საქართველოს უაღრესად საინტერესო ეპოქის სტილურ

9. საადგილ-მამულო ბანკის შენობა. გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1 ივლისი. № 638, 1912. გვ. 2.

the Bank had a meeting relating to this issue and by the way, architects Ter-Mikelov, Kalgin, Aghajanov, and Kldiashvili attended the meeting and unanimously it was decided that it is desirable that the Bank building was constructed in Georgian design and style...⁹

23 project designs – 19 designs and, what is most interesting, 4 versions of the facade, whose authors are not yet identified, are preserved in the Fund of Architectural measurements and Drawings of the GNM Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts. Despite the fact that all these projects were never implemented, it is still worth reviewing each of them, as architectural concepts of these projects reflect the most significant epoch of Tbilisi and whole Georgia in the beginning of the XX c.. All four facades have been designed in different styles, which is typical to eclectic Tbilisi of that period. One of them is in Baroque style. The central

9. Nobility Bank building. Newspaper “Sakhalkho Gazeti” July 1. # 638, 1912. p. 2.



მახასიათებელს წარმოგვიდგენს. ოთხივე ფასადი შესრულებულია განსხვავებული სტილით, რაც ასე დამახასიათებელია იმ პერიოდის ეკლექტური თბილისისთვის.

მათგან ერთი ბაროკოს სტილისაა. განსაკუთრებით აქცენტირებულია ცენტრალური ნაწილი რიზალიტით, ფრონტონით, დეკორითა და გადახურვით. მიუხედავად ცენტრალური ნაწილის ამგვარი გამოყოფისა, ფასადი მაინც ერთიანია. ავტორი ახერხებს მორთულობის ყველგან გადანაწილებასა და გაწონასწორებას. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის არქიტექტურული იერსახე ამ დროს ძალიან ეკლექტურია და სხვადასხვა სტილს ორგანულად ითვისებს, ბანკის ეს საკონკურსო ვარიანტი მაინც არ ეხმიანება თბილისურ არქიტექტურას. მის გაფორმებას იმპერიული რუსეთის არქიტექტურის აშკარა გავლენა ეტყობა.

მეორე საკონკურსო პროექტის შენობის ფასადი, ავტორის




part is most accentuated by risalit, fronton, decor and roofing. While the central part stands out, the facade is still coherent. The author manages to distribute and balance the decor evenly. Even though the Tbilisi architectural look was very eclectic in those days and organically accepted different styles, this competitive version of the Bank still does not match Tbilisi architecture. Its decor bears all traces of Imperial Russian influence.

Façade of the second competition project building, in the author's idea, is designed in European widespread style of that time – Art Nouveau. In comparison with other project versions, it is richly decorated

სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის საკონკურსო პროექტი - „თეთრი გიორგი“. უცნობი ავტორი. 1912 წ. მუყაო, დაფერილი. 51X71 სმ. სმმ.

COMPETITIVE DESIGN OF THE BANK OF THE NOBILITY – “WHITE GIORGI”. UNKNOWN AUTHOR. 1912. CARDBOARD. COLORED. 51X71 CM. GNM.



ჩანაფიქრით, იმ პერიოდში ევროპაში ფართოდ გავრცელებული სტილით – არ ნუვოთია შესრულებული, სხვა საკონკურსო ვარიანტებთან შედარებით უხვადაა მორთული და ძალიან დინამიკურია. გამოყენებულია რენესანსის, ბაროკოსა და კლასიციზმის ელემენტები. აღსანიშნავია კუთხეში აღმართული მრავალფეროვანი ქანდაკება, რომელიც დიდი ალბათობით ეკონომიკის მფარველ ჰერმესს განასახიერებს მხლებლებთან ერთად.¹⁰ მიუხედავად ასეთი სტილური მრავალფეროვნებისა, პროექტი არ ნუვოს გამოკვეთილ ნიშნებს ატარებს. საბოლოოდ, ფასადი ერთგვარად დატვირთულია დეკორატიული მოტივებით და ეხმიანება იმ პერიოდის თბილისის საერთო არქიტექტურულ ტენდენციას.

უჩვეულო ეკლექტური ნაზავია მესამე პროექტი. ეს არის სადა, ნეოკლასიციზტური სტილის ნაგებობა არ ნუვოს ნიშნებით (მაგალითად, დეკორი ცენტრალურ ნაწილში და ოვალური ფორმის სარკმლები). იგი ყველაზე კარგად ეხმიანება ქალაქის ურბანულ სახეს – ევროპიდან შემოსულ სტილს, რომელიც რეგიონისთვის დამახასიათებელი გემოვნებითა და სისადავითაა გადმოცემული.

მეოთხე პროექტი ე. წ. ქართული სტილისაა. ესაა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციული ფორმების

10. ჰერმესის გამოსახულება ან მისი ატრიბუტი ხშირად გვხვდება სხვადასხვა კომერციულ შენობებზე. მათ შორის, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეორე კორპუსზე, თი ბი სი ბანკის ცენტრალურ ოფისზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმსა და სხვ.



and is very dynamic. Elements of Renaissance, Baroque and Classicism are used. Multi-figure statuary group should be mentioned, which most probably represents Hermes, guardian of economy, together with his companions.¹⁰ Despite such a variety of styles, the project bears well-defined signs of Art Nouveau. Finally, the facade is full of decorative motifs and responds to the common architectural tendency of those days Tbilisi.

The third project is an unusual eclectic mix. This is a simple,

10. We often meet Hermes image or its appanage on different commercial buildings. Among them is II building of the National Parliamentary Library of Georgia, Central office of the TBC Bank, I. Grishashvili Tbilisi History Museum of the Georgian National Museum, etc

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი. სფმ.

I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY NATIONAL LIBRARY. GNM.





Проект г. Груз. Земельного Банка.*Проектирован: А. Калгин и Г. Хрыньевский.*

საადგილობრულ სათავადაზნაურო ბანკის განხორციელებული პროექტი. ფასადი ლადო გუდიაშვილის ქუჩის მხრიდან. ანატოლი კალგინი, ჰენრიკ ჰრინევსკი. 1912 წ. ქალაქი, აკვარელი. 45X69 სმ. სმ.

IMPLEMENTED PROJECT OF THE BANK OF THE NOBILITY. FAÇADE FROM LADO GUDIASHVILI STREET. ANATOLY KALGIN, HENRYK HRYNIEWSKI. 1912. PAPER, WATERCOLOR. 45X69 CM. GNM.

გამოყენებით შექმნილი ნაგებობა. კოშკის მასით, ნახევარწრიული თალებითა და სარკმლებით შემკული შენობა ხასიათდება ერთგვარი სქემატიზმით – არქიტექტურული მასა და დეკორატიული ელემენტები ორგანულ მთლიანობას ვერ ქმნის.

კონკურსში მონაწილეობდა კალგინისა და ჰრინევსკის მიერ შესრულებული პროექტი, რომელიც საუკეთესოდ იქნა მიჩნეული და

neoclassical style building with Art Nouveau style signs (e.g. decor in the central part and oval windows). It very well corresponds with the urban look of the city – a style originating from Europe, which is conveyed in simple style, typical for the region.

The fourth project is designed in so-called Georgian style. This is a design of a building using medieval Georgian architectural traditional

Проект б. Груз. Земельного Банка.



Проектировал: А. Калгин и Г. Хрыньевский

შენობა სწორედ ამ პროექტით აიგო. მუზეუმის კოლექციაში დაცულია ამ შენობის პირველი და მეორე სართულის გეგმები, აკვარელით შესრულებული ორი ფასადი ლადო გუდიაშვილისა და ნატო ვაჩნაძის ქუჩების მხრიდან, ასევე ტუშით შესრულებული ფასადი ნატო ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან. ნახაზების მიხედვით, ჩანს, შენობის საბოლოო სახეში გარკვეული ცვლილებებია შეტანილი (მაგ., კოშკი უფრო

forms. The building with tower mass, decorated with semi-circular arches and windows, is characterized with somewhat schematism – architectural mass and decorative elements do not create organic unity.

The project designed by Kalgin and Hryniewski participated in the competition, was considered as the best and the building was constructed according to this

საადგილობრივ სათავადაზნაურო ბანკის განხორციელებული პროექტი. ფასადი ნატო ვაჩნაძის ქუჩის მხრიდან. ანატოლი კალგინი, ჰენრიკ ჰრინიევსკი. 1912 წ. ქაღალდი, აკვარელი. 45X69 სმ. სმმ.

IMPLEMENTED PROJECT OF THE BANK OF THE NOBILITY. FAÇADE FROM NATO VACHNADZE STREET. ANATOLY KALGIN, HENRYK HRYNIEWSKI. 1912. PAPER, WATERCOLOR. 45X69 CM. GNM.





დაბალია, ერთ ადგილას სამკუთხა გადახურვა ჰორიზონტალურითაა შეცვლილი და სხვ.).

ექსპედიციებში მონაწილეობამ და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობისას მიღებულმა შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ცოდნამ ანატოლი კალგინს საშუალება მისცა, სრულად დაეკმაყოფილებინა კონკურსის პირობა და შეექმნა თავისი შემოქმედების მთავარი ქმნილება – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობა, რომელიც ქართული ეროვნული არქიტექტურული ფორმების ახლებური გააზრებისა და აღორძინების ცდაა.

შენობა ამ სტილის სხვა ნაგებობებისგან იმით განსხვავდება, რომ მასში აღარ გვხვდება საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშებიდან მექანიკურად გადმოტანილი ფორმები ან ორნამენტული მოტივების

project. The museum's collections include the first and second floors of the building, two watercolor facades from Lado Gudiashvili and Nato Vachnadze Streets, as well as a facade made with ink from Nato Vachnadze Street. The final appearance of the building shows that some alterations have been done to the initial design of the building. (e.g. the tower is lower, in one instance triangular roofing has been replaced by a horizontal one, etc.). The knowledge of medieval Georgian architecture gained from participation in expeditions and traveling to different parts of Georgia, allowed Anatoly Kalgin to fully satisfy the requirements of the competition terms and design his main work – Tbilisi Nobility Bank, which is an attempt to newly re-consider and revive Georgian national architectural forms. This building differs from other buildings in a way that we do not see

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსის კაპიტალები.სამ.
CAPITALS OF THE I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY NATIONAL LIBRARY. GNM.









საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი. გალერეა ლადო გუდიაშვილის ქუჩის მხრიდან

I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY NATIONAL LIBRARY. GALLERY FROM THE LADO GUDIASHVILI STREET

ასლები. ის ორგანულად მთლიანი ნაგებობაა და ე. წ. ქართული სტილისთვის დამახასიათებელი ფორმები გააზრებულადაა გამოყენებული. აქცენტირებულია ორი ქუჩის გადაკვეთაზე აგებული მაღალი კოშკი, ღია გალერეები, შეწყვილებული სარკმლები, სვეტები და მისი კაპიტელები.

დღევანდელი ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი ორი ქუჩის გადაკვეთაზე, დაფერდებულ რელიეფზეა აგებული. მას ესაზღვრება ამავე პერიოდში აგებული „ვოლგა კამის“ ბანკის ფილიალის შენობა (1915 წ. არქ. გ. კოსიაკოვი). ნაგებობა სამსართულიანია. კუთხეში აღმართული კოშკი მკვეთრად ამაღლებულია და ამ ადგილის აქცენტირებას ახდენს. ფასადზე გამოყენებულია კიბე, ერთიანი უწყვეტი გალერეა, თაღებით შემკული აივანი, სარკმლები და სხვ.

შიდა სივრცე შემდეგნაირად ნაწილდება. შესასვლელიდან ვხვდებით ოთხ სვეტზე დაყრდნობილი კამაროვანი გადახურვის მქონე ვესტიბიულში. მთავარ სივრცეებს ერთმანეთის პერპენდიკულარულად მდებარე ორი დარბაზი ქმნის: ბანკის საოპერაციო (დღევანდელი სამკითხველო) დარბაზი ნატო ვაჩნაძის ქუჩას მიუყვება და ორ სართულს იკავებს, ხოლო მეორე ლადო გუდიაშვილის ქუჩის გაყოლებაზეა და მეორე და მესამე სართულზე იშლება. მაღალი სარკმლების ერთიანი რიგით განათებული დარბაზები სივრცობრივი და შთამბეჭდავია. გადაწყვეტის ჰარმონიულობით განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სართულების

copies of mechanically transferred eclectic architectural features or decorative motifs. The building is organically complete and all forms characteristic to so-called Georgian style are thoughtfully used. High towers raised at the crossroad of two streets, open galleries, paired windows, columns and their capitals are accentuated.

Current I building of the National Library is constructed on the crossroad of two streets on a sloped relief. It abuts upon the building of “Volga Kama” Bank building which was constructed about the same period (1915. Architect G. Kosyakov). This is a three floored building. The tower erected in the corner is strongly heightened and accentuates this place. The facade uses stairs, a unified continuous gallery, balcony decorated with arches, windows, etc. The internal space is arranged in the following way: from the entrance we get into a hall with vaulted roofing resting on four columns. Main space is composed of perpendicularly arranged two halls: one for banking operations (current reading hall) located along Nato Vachnadze street on two floors and the second hall is located along Gudiashvili street and expands on the second and third floors. Halls illuminated by a row of windows look spatial and impressive. Harmonious solution of the design-marble stairs, connecting floors, high windows and balustrades, requires special remarks. facades-window edges, cornices, facade space are decorated with the X-XIII c. cathedral ornaments and decorative forms. Remarkable are the column capitals of the gallery. Their form analogues



დამაკავშირებელი მონაკვეთი მარმარილოს კიბით, მაღალი სარკმლებითა და ბალუსტრადებით.

ფასადები – სარკმლის საპირეები, კარნიზი, საფასადო სიბრტყე, შემკულია X-XIII სს-ის ტაძრების ორნამენტებითა და დეკორატიული ფორმებით. აღსანიშნავია გალერეის სვეტების კაპიტელების მათი ფორმის ანალოგები ბაგრატის ტაძარში იძებნება. კაპიტელების

can be found in Bagrati Cathedral. Decorations of the capitals are diverse. In most cases, geometrical and floral ornaments are used. The main feature of Anatoly Kalgin's artistic design is modernizing Georgian architectural aesthetics, not mechanical but organic and live rhythmic distribution of forms and ornaments on the facade, which were inspired by medieval monuments.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი. ინტერიერი

I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY NATIONAL LIBRARY. INTERIOR



საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის I კორპუსი. კიბის ბალუსტრადა

I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY
NATIONAL LIBRARY. STAIRCASE BALUSTRADE

გაფორმება მრავალფეროვანია.
მორთულობაში უმეტესად
გამოყენებულია გეომეტრიული და
მცენარეული ორნამენტი.

ქეგლის მხატვრული გაფორმების
მთავარი ღირსებაა ანატოლი
კალგინის მიერ ქართული
არქიტექტურის ესთეტიკის
გათანამდროვება, შუა საუკუნეების
ქეგლებით ინსპირირებული
ფორმებისა და ორნამენტების არა
მექანიკური, არამედ ცოცხალი,
რიტმული, ორგანული განაწილება
ფასადზე.

ავტორთა ფუნქციები გაყოფილი
იყო. საკუთრივ არქიტექტურა
ეკუთვნის ანატოლი კალგინს,
მხატვრული დამუშავება – ჰენრიკ
ჰრინევსკის. დეკორი იმ დროს
ძალზე ცნობილი ოსტატების
– ნეოფიტე, ვლადიმერ, ნიკო,
ლავრენტი აგლაძეების ნახელავია.¹¹

11. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება
1801 – 1917 წლებში ტ. II, 1963. თბ., გვ. 89.

Authors' functions were divided.
Anatoly Kalgin was an architect and
Henryk Hryniewski was devoted to
the artistic design of the building.
decor was designed by very famous
masters of those days – Neophyte,
Vladimir, Niko and Lavrenti Agladze.¹¹

*“I was thinking a lot and searched
out the soul of the medieval
Georgian architect, who created
brilliant cathedrals. And how I
succeeded you all see. The only
person who backed and encouraged
me was Henryk Hryniewski”¹²– used
to say Anatoly Kalgin.*

Current I building of the National
Library constructed according to
Anatoly Kalgin's design is the best
illustration of so-called Georgian

11. V. Beridze. Tbilisi Architecture in 1801-
1917. Vol. II, 1963. Tb., p.89.

12. P. Zakaraia. Small memories about col-
league architects. Journ. “Khelovneba” ##
9-11. 1999. Tb., p. 54.

„დიდხანს ვფიქრობდი და ვეძებდი შუა საუკუნეების ქართველი ხუროთმოძღვრის იმ სულს, რომელმაც შექმნა ბრწყინვალე ტაძრები. თუ რა გამოივიდა, ამას თქვენც კარგად ხედავთ. ერთადერთი კაცი, რომელიც გვერდში მედგა და მამხნევებდა ეს იყო ჰენრიკ ჰრინვესკი“.¹² – ამბობდა ანატოლი კალგინი.

ანატოლი კალგინის პროექტით აგებული დღევანდელი ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი ე. წ. ქართული სტილის საუკეთესო ნიმუშია, რომელშიც ერთმანეთთან ჰარმონიულადაა შერწყმული არქიტექტურული ფორმა და დეკორი. მას თბილისის ისტორიულ შენობათა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს და ეროვნული ხუროთმოძღვრული ფორმების სტილიზაციის ძალზე საინტერესო ნიმუშია.

ანატოლი კალგინი იხსენებდა – „როდესაც ბანკის მშენებლობა დამთავრდა, ჩემთან მოვიდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და მწერლები ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კოტე მაცაშვილი, იოსებ გრიშაშვილი და სხვები, რომლებმაც მომილოცეს შენობის დამთავრება. შემდეგ ყველამ გულმოდგინედ დაათვალიერა შენობა და დიდად კმაყოფილი წავიდნენ. ბავშვივით მიხარია. როცა ამ შენობას ვუყურებ ჩემ თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ის გაუბზარავი დგას, ისე როგორც სვეტიცხოველისა და ჯვრის ძველი ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლები.“¹³

12. პ. ზაქარაია. მცირე მოგონებები კოლეგა არქიტექტორებზე. ჟურ. „ხელოვნება“. №№9-11. 1999. თბ., გვ. 54.

13. ა. სიგუა. ანატოლი კალგინი. ჟურ. „თეატრალური მოამბე“. №2. 1976. თბ., გვ. 54.




style, which harmoniously combines architectural forms and decor. It has a significant place among Tbilisi historical buildings and is a very interesting illustration of stylization of Georgian architectural forms.

Anatoly Kalgin recalled: “When construction of the bank ended, famous Georgian scholars and writers visited me – Ivane Javakhishvili, Akaki Shanidze, Ekvtime Takaishvili, Kote Makashvili, Ioseb Grishashvili and others, who congratulated me on the completion of the building. Then all of them thoroughly examined the building and left fully delighted. I am happy as a child. When I look at this building I feel happy that it stands still, like ancient historic architectural monuments Svetitskhoveli and Jvari”¹³

13. A. Sigua. Anatoly Kalgin. Journ. “Teatraluri Moambe”. # 2. 1976. Tb., p. 54.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის I კორპუსი. კარი

I BUILDING OF THE GEORGIAN PARLIAMENTARY NATIONAL LIBRARY. DOOR











პირველი რესპუბლიკა
First Republic

1918-1921



ანატოლი კალგინი თბილისის სამხატვრო
აკადემიის კელაგოზიანთან ერთად
გია გერსამიას კოლექცია

ANATOLY KALGIN TOGETHER WITH THE LECTURERS
OF TBILISI ACADEMY OF ARTS.
GIA GERSAMIA'S COLLECTION

თბილისის სათავადაზნაურო
საადგილმამულო ბანკის
აგებიდან გავიდა ორი წელი და
საქართველომ დამოუკიდებლობა
მოიპოვა. 1918 წელი გადამწყვეტი
გამოდგა კავკასიელი ხალხისთვის,
თავად რუსეთისა და, ზოგადად,
მთელი მსოფლიოსთვის.
პირველმა მსოფლიო ომმა
და რუსეთში მომხდარმა
გადატრიალებებმა საქართველო
დამოუკიდებლობისკენ
მიმავალ გზაზე დააყენა. ბევრი
დაბრკოლების გადალახვის
შემდეგ 1918 წლის 26 მაისს
საქართველომ დამოუკიდებლობა
გამოაცხადა.

Two years passed since the
construction of the Nobility Bank
and Georgia gained independence.
1918 appeared to be decisive for
the Caucasian people, Russia and
generally for the whole world. The
FWW and Russian Revolutions
caused a lot of obstacles for Georgia
on its way to independence but
Georgia managed to overcome them
and announced its independence on
26th May 1918.

In spite of many foreign or internal
problems, which Georgia faced
during 3 years, country still
maintained its direction towards

მიუხედავად ბევრი საგარეო თუ შიდა პრობლემისა, რომლებსაც საქართველო სამი წლის განმავლობაში წააწყდა, ის მაინც დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე იდგა. აღსანიშნავია, რომ საქართველო ამ დროს ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ საგანმანათლებლო სფეროში აქტიური მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა – დამოუკიდებლობის აღდგენამდე რამდენიმე თვით ადრე გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი; სტუდენტებს აგზავნიდნენ სასწავლებლად უცხოეთში. მიმდინარე კულტურულ მოვლენებზე მეტყველებს ისიც, რომ 1920 წელს, სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, მოხერხდა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ტაო-კლარჯეთში მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა და გამოფენის მოწყობა, რომლის მეშვეობით საზოგადოება პირველად გაეცნო ქართული არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებს.

ანატოლი კალგინი ძალიან წუხდა ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში წასვლის გამო. ამბობდა, რომ მან შეაყვარა საქართველო და ქართული ხუროთმოძღვრება – „უკეთილშობილესი ადამიანი და არა მარტო ქართველი ხალხის ხელოვნებისა და მისი ისტორიის, არამედ მსოფლიო ხელოვნების ისტორიის დიდი მცოდნე.“¹

1920 წლის 13 აგვისტოს საქართველოს დამფუძნებელმა

1. ა. სიგუა. ანატოლი კალგინი. ჟურ. „თეატრალური მომახე“. №2. 1976. თბ., გვ. 54.



democracy. It is worth mentioning that Georgia faced economic problems during those years as well, but active work in the educational sphere never stopped – a few months prior to the announcement of independence first Georgian University was established; Students were sent abroad to study in foreign Universities. Cultural events were ongoing; this is evidenced by the fact that it was in 1920, during independence years, that society was able to get acquainted with the most significant monuments of Georgian architecture, Ekvtime Takaishvili managed to submit a report and arrange an exhibition based on the materials obtained during his work in Tao-Klarjeti.

Immigration of Ekvtime Takaishvili bothered Anatoly Kalgin. He used to say that Ekvtime Takaishvili led

ანატოლი კალგინი მცხეთის ჰჯრის ექსპედიციის წევრებთან ერთად. საქართველოს ეროვნული არქივი

ANATOLY KALGIN TOGETHER WITH THE MEMBERS OF EXPEDITION TO JVARI MONASTERY IN MTSKHETA. NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA



სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმი
SIMON JANASHIA MUSEUM OF GEORGIA

კრებამ და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო დეკრეტი „ძველი ხუროთ-მოდღვრების შეკეთება დაცვისთვის 2 მილიონი მანეთის გადადებისა“.² მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ შექმნა კომისია რომელშიც გიორგი ჩუბინაშვილი, ნიკოლოზ სევეროვი და ანატოლი კალგინი შევიდნენ. ისინი ჯერ მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის ეკლესიების შესასწავლად გაემგზავრნენ, ხოლო შემდეგ ევგენი ლანსერესთან ერთად კახეთის რეგიონი მოიარეს. კერძოდ, მონახულეს ბოდბის წმინდა ნინოს, ალავერდისა და შუამთის ეკლესიები. მუზეუმში გადაიტანეს წრომის ეკლესიის მოზაიკის ფრაგმენტები.³

1920 წელს საქართველოს მუზეუმის (დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი) შენობის ფასადის გასაფორმებლად ნიკოლოზ სევეროვი და ანატოლი კალგინი მიიწვიეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ამ სამუშაოების დასრულება ვერ მოხერხდა. საბჭოთა კავშირის დამყარების შემდეგ, 1923 წელს, ისევ გამოცხადდა კონკურსი, სადაც ორივე არქიტექტორმა დამოუკიდებლად შეიტანა პროექტი. თუმცა ამჯერად ნიკოლოზ სევეროვის პროექტმა გაიმარჯვა.⁴

him to fall in love with Georgia and Georgian architecture – “The most honorable man and the connoisseur of not only Georgian art and history, but history of the world art.”¹

On 20th August, the Georgian Constituent Assembly and Government of the Republic adopted a Decree “Reserving of 2,000,000 roubles for “Restoring and Protecting Ancient Architectural Monuments”.² For this purpose, a Commission was established. Giorgi Chubinashvili, Nicholas Severov and Anatoly Kalgin became its members. The scholars traveled to Mtskheta Jvari and Svetitskhoveli in purpose of studying them, then they deliberated a few monuments in the Kakheti region and restored them. They also transported the mosaic fragments of Tsromi Church to the museum.³

In 1920, Nikolay Severov and Anatoly Kalgin were invited to decorate the facade of Georgian Museum, (currently GNM Simon Janashia Museum of Georgia). During the existence of Georgian Democratic Republic, these works were not completed. After the establishment of Soviet Union in 1923, the competition was announced again and the two architects submitted their projects separately, but this time Nikolay Severov’s project won.⁴

1. A. Sigua. Anatoly Kalgin. Journ. “Teatraluri Moambe”. # 2. 1976. Tb., p.54.

2. Constituent Meeting. Newspaper “ertoba”. August 15. # 184. p. 4. 1020

3. G. Chkhaidze. Georgian State Museum. 2003. Tb., p.232.

4. N. Janberidze. Georgian Soviet Architecture. 1971. Tb., p. 80.

2. დამფუძნებელი კრება. გაზ. „ერთობა“. 15 აგვისტო. № 184. გვ. 4. 1920.

3. გ. ჩხაიძე. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. 2003. თბ., გვ. 232.


4. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. 1971. თბ., გვ.80.



ნიკოლოზ სევეროვი (ნორდმანი) ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა ქართული არქიტექტურის ისტორიაში. იგი მონაწილეობდა ექსპედიციებში, რომელთა მიზანი ძველი ქართული არქიტექტურის ნიმუშების შესწავლა და აზოვნა იყო. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად. საბჭოთა კავშირის დროს მის მიერ შესრულებულ შენობებს დღემდე გამოჩენილი ადგილი უჭირავს საქართველოში, მაგალითად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმი, ყოფილი ამიერკავკასიის სახალხო კომიტეტის შენობა, კინოთეატრი „რუსთაველი“ და სხვ.

NIKOLAY (NICHOLAS) SEVEROV (NORDMAN) IS ONE OF THE DISTINGUISHED ARCHITECTS IN THE HISTORY OF GEORGIAN ARCHITECTURE. HE PARTICIPATED IN THE EXPEDITIONS WITH THE AIM TO MEASURE AND STUDY ANCIENT GEORGIAN ARCHITECTURAL MONUMENTS. FOR YEARS HE WORKED WITH GIORGI CHUBINASHVILI. DURING SOVIET UNION PERIOD BUILDINGS, WHICH WERE CONSTRUCTED BASED ON HIS DESIGNS STILL HAVE DISTINGUISHED PLACE IN GEORGIA, E.G. SIMON JANASHIA MUSEUM OF HISTORY OF THE GEORGIAN NATIONAL MUSEUM, BUILDING OF GEORGIAN COMMITTEE, CINEMA "RUSTAVELI", ETC

სიმონ ჯანაშიას სახელობის
საქართველოს მუზეუმი
SIMON JANASHIA MUSEUM OF GEORGIA



საბჭოთა წლები
Soviet Years



თბილისი 1930-1940-იან წლებში.
TBILISI IN 1930-1940s. GNM.

თბილისის თანამედროვე ევროპულ ქალაქად ფორმირების პროცესი გაგრძელდა 1921 წლამდე, რადგან საქართველოში რუსული წითელი არმია შემოიჭრა და სამწლიან დამოუკიდებლობას წერტილი დაუსვა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ მთლიანად შეცვალა საქართველოს ყოფა და კულტურა. არქიტექტურამაც ახალ მოცემულობაში გააგრძელა არსებობა.

The process of transforming Tbilisi into European city continued until 1921, as Georgia was invaded by Russian Red Army and it closed the door on three-year independence. The Georgian way of life and culture changed completely after the annexation of Georgia to the USSR. Architecture also continued to exist in new conditions.

If you look closely at the architectural illustrations built

თუ დავაკვირდებით საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში აგებულ ხუროთმოძღვრულ ნიმუშებს, აქ დიდი ხნით დამკვიდრდა ქართული ისტორიული არქიტექტურიდან მორთულობის გადმოტანა, რომელიც ზოგჯერ მექანიკურად იყო დართული მონუმენტურ შენობებზე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, კერძოდ, 1926 წელს, თბილისის ქალაქის აღმასკომის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება: „ამიერიდან ქალაქში ყოველგვარი შენობა უნდა აიგოს ქართული სამოქალაქო არქიტექტურის სტილზე... მნიშვნელოვანი შენობების ფასადები გადაკეთებულ უნდა იქნას ქართულ სტილზე... ამ დადგენილების აზრი ის არის, რომ ქალაქს მიეცეს ეროვნული ელფერი და აღადგინოს ქართული ხუროთმოძღვრების სტილი“.¹

დადგენილების განხორციელებას მართლაც შეუდგნენ, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, შემოქმედებით ძიებას ადგილი არ ჰქონია, არამედ სრულიად მექანიკურად გამოიყენებოდა „ეროვნული“ ფორმები – თალები, კოშკების კბილანები, ვიწრო სარკმლები, ცალკეული ჩუქურთმები. გამონაკლისის სახით, რამდენიმე სხვა შენობასთან ერთად, უნდა აღინიშნოს 1927 წელს ანატოლი კალგინის მიერ აგებული ზაჭესის ჰიდროელექტროსადგური მდინარე მტკვარზე, მცხეთასა და ზემო ავჭალას შორის. მასთან ერთად პროექტზე მუშაობდნენ



during the Soviet era, you will notice that during this period it somehow became a tradition to use Georgian architectural decor, which was inconsiderately applied to monumental buildings.

During the first years of Soviet ruling, namely in 1926 a Decree was adopted by the city Executive Committee: “From now on, all buildings should be constructed in Georgian civic architecture style... All the important building facades should be converted into the Georgian style... The main essence of this Decree is to give the city national external appearance and revive Georgian architectural style”.¹

The actual implementation of this Decree began, but, with a few exceptions, no creative research was carried out; instead, completely mechanical “national” forms were used, such as arches, crenellates, narrow windows and fretworks.

თბილისი 1930-1940-იან წწ. ს.მ.მ.
TBILISI IN 1930-1940s. GNM.

1. ვ. ბერიძე. მოგონებები.. 1987. თბ., გვ. 187.

1. V. Beridze. Memories. 1987. Tb., p. 187.



ზაკეისი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE

მიხეილ მაჭავარიანი² და
კონსტანტინე ლეონტიევი.³

ჰიდროელექტროსადგური
სხვადასხვა ნაგებობის კომპლექსია,
რომელიც მცხეთასთან ახლოს,
მთის ძირში, ვრცელ ტერიტორიაზეა
გაშლილი. ესენია: საგენერატორო
სადგური, გამანაწილებელი
შენობა, კაშხალი, წყლის

2. მიხეილ მაჭავარიანი მონაწილეობდა კახეთის, ბუხარის, ბესარაბიის რკინიგზის მშენებლობაში, და სამხრეთ ციმბირის რკინიგზის სამშენებლო სამმართველოში მთავარ არქიტექტორად. 1921 წელს საქართველოში დაბრუნებული ძირითადად პედაგოგიურ მუშაობას ეწევა სამხატვრო აკადემიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და სხვ. გამოცემული აქვს ორტომიანი სახელმძღვანელო (შენობათა ნაწილები). ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები №4. 1955. თბ., გვ.79.

3. კონსტანტინე ლეონტიევის სახელს, ზაჰესის ჰიდროელექტრო სადგურის გარდა, უკავშირდება რამდენიმე საცხოვრებელი სახლი (მაგ., გოგებაშვილის №11 მაყაშვილის №18). მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობაა 1930 წელს აგებული თბილისის ტუბერკულოზის პირველი საქალაქო ინსტიტუტის შენობა (შემდგომში საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ამჟამად კერძო კომპანიის საკუთრებაში არსებული ობიექტი). ლალი ანდრონიკაშვილი. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა - მელიქიშვილის ქ. №10. 2015. თბილისი.

Zahesi Electric Power Station,
together with some other buildings
can be regarded as an exception. It
was constructed by Anatoly Kalgin in
1927 on the river Mtkvari, between
Mtskheta and Avchala. Mikheil
Machavariani² and Konstantin
Leontyev³ also worked on this
project together with Anatoly Kalgin.

Hydro-electric Power Station is a
complex of different buildings, which
is located near Mtskheta, at the
bottom of a mountain, and stretches

2. Mikheil Machavariani participated in the construction of Kakheti, Bukhara, Bessarabia railways and was the chief architect at Siberian Railway Construction Department. After he arrived to Georgia in 1921 he is mainly involved in pedagogical activities in the Academy of Arts, State University, Georgian Technical University, etc. Has published two-volume Manual (Parts of Buildings). V. Beridze. The History of Georgian Soviet Architecture. Works of Institute of Georgian Art History #4. 1955. Tb., p. 79.

3. Konstantine Leontyev's name is related not only to Zahesi Electric Power Station but to some residential buildings as well, such as Gogebashvili #11, Makashvili # 18). One of his most important buildings is Tbilisi Tuberculosis Fist Institute (later Institute of Georgian History and Ethnography, currently object in private company ownership). Lali Andronikashvili. Historical and Architectural Study - Melikishvili str. #10. 2015. Tbilisi




გადამყვანი ავზი. ირგვლივ აიგო მუშების საცხოვრებელი კოტეჯები, რომლებიც დღეს ძლიერ სახეშეცვლილია. ამას გარდა, კომპლექსში შედის თბილისის სხვადასხვა უბანში აგებული ქვესადგურები - დილომში, დიდუბეში, ავლაბარსა და ა.შ. ისინი დღეს აღარ ფუნქციონირებს. ქვესადგურის პროექტებზე მხოლოდ ანატოლი კალგინი და მიხეილ მაჭავარიანი მუშაობდნენ.

ანატოლი კალგინი ამ შენობებშიც იყენებს ე. წ. ქართული სტილის არქიტექტურის ნიშნებს, თუმცა მხოლოდ ფორმებს – მორთულობა არსად გვხვდება. შენობები შორიდან აღსაქმელია და სწორედ ამის გამო ეყრდნობა მხატვრული გადაწყვეტა მთლიანად სადა კედლებსა და დიდ სარკმლებს. ძირითადად ესაა ერთიანი მართკუთხა მასები, რომლებზეც არქიტექტორი რიზალიტებს, თალებსა და სარკმლებს ათავსებს. ეროვნული ფორმათაგან გამოყენებულია კოშკი, კარნიზი და თაღედი. ავტორების მთავარი პრინციპი იყო ფასადის სადად გადაწყვეტა,

on a vast territory. These are: power plant, distributing building, dam, water discharge structure, cottages for workers were constructed around the territory, but today they have been totally transformed. In addition, the complex also includes sub-stations in various districts of Tbilisi – Digomi, Didube, Avlabari, etc. Currently, they are not functioning. Anatoly Kalgin and Mikheil Machavariani worked on sub-stations projects.

Anatoly Kalgin uses architectural features of the so-called Georgian style in these buildings, though uses only forms – we do not come across any decorations. With such an artistic solution- simple walls and big windows – the buildings can be perceived from distance. Mainly this is a whole right-angled mass, where the architect places risalita, arches and windows. From national forms he uses tower, cornice and arcade. The main principle was to create a simple building, without any decorations. In this case, technological issues came to the fore, rather than artistic, since the

ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



ზაჰესის საგენერატორო სადგურის შენობის პროექტი.
ფასადი მთავარი კვათ.

ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ.
ქალაქი, აკვარელი. 40x66 სმ. ს.ა.მ.

DESIGN OF THE ZAHESI POWER STATION.

FAÇADE TOWARDS MTKVARI.

ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924.

PAPER, WATERCOLOR. 40X66 CM. GNM.

ყოველგვარი მორთულობის
გარეშე. ამ შემთხვევაში
მხატვრულზე მეტად გადასაწყვეტი
იყო ტექნოლოგიური საკითხები,
ვინაიდან კომპლექსის ფუნქციამ
სპეციფიკური მოთხოვნები დააყენა
არქიტექტორების წინაშე.

ზაჰესის არქიტექტურამ
მნიშვნელოვანი გავლენა
იქონია თანადროულ ქართულ
ხუროთმოძღვრებაზე. შემდგომ
ხშირად ვხვდებით ე. წ. ქართული
სტილის ელემენტების გამოყენების
მცდელობას. დაახლოებით
ამავე პერიოდში შემუშავდა სხვა

complex set specific requirements
for the architects.

Zahesi architecture had a significant
effect on modern architecture.
Since then, attempts to use so-
called Georgian style could be often
found. About the same period
projects of other HydroElectric
Power Stations were developed
nationwide, e.g. for Kutaisi,
Meqveni, Ritseuli, Abasha, etc.


It is interesting to review Zahesi
building in political and ideological
respect. No such projects of this
scale had been developed in

ჰიდროელექტროსადგურების პროექტებიც მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგ., ქუთაისის, მექვენის, რიცეულის, აბაშისა და სხვ.

საინტერესოა ზაჰესის შენობის განხილვა პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ტრილში. ამ მასშტაბის კომპლექსის მშენებლობა ამიერკავკასიაში მანამდე არ უწარმოებიათ. ზაჰესის სიმძლავრე რამდენჯერმე აღემატებოდა საქართველოში მანამდე არსებულ ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს.⁴ მან, ფაქტობრივად, გადაჭრა ქალაქის ელექტრომომარაგების პრობლემა. თუმცა, ამავე დროს, ჰესის მშენებლობა აქტიურად გამოიყენეს სახელისუფლებო პროპაგანდისტვისაც. ის უნდა გამხდარიყო სოციალისტური აღმშენებლობის ილუსტრაცია. იმ პერიოდის გაზეთები აჭრელებული იყო ჰიდროელექტროსადგურის სურათებით, სადაც ზაჰესის დიდი ნაგებობისა და მოქანდაკე ივანე შადრის⁵ ლენინის ძეგლის ფონად ქართველი ერის, მისი კულტურის სიმბოლო და არქიტექტურული შედეგური – ჯვრის ტაძარია წარმოდგენილი. სხვადასხვა მხატვრის მიერ იხატება ზაჰესის ამსახველი დიდი თუ პატარა პანოები. გამოდის საფოსტო ბარათები, იხდიან მისი აგების იუბილეებს. საბავშვო გაზეთებშიც კი შესაძლებელია წავიკითხოთ ლექსები, რომელიც ზაჰესსა და ქალაქის ელექტროფიკაციას ეხება.

4. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. 1971. თბ., გვ. 16.

5. ივანე შადრის დაბადების 100 წლისთავი. გაზ. „თბილისი“. №37 გვ.3 1987




Transcaucasia till then. Zahesi capacity exceeded the manifold capacity of all existing electric power stations together. ⁴ It actually resolved all problems in the city with regard to electric power supply. At the same time, construction of the station was used for government propaganda purposes. It had to become an illustration of a full-scale socialism construction. Newspapers of that time were full of Power Station photos, where the building

4. N. Janberidze. Georgian Soviet Architecture. 1971. Tb., p. 16.

ზაჰესის საგინერატორო სადგურის შენობა. თბილისი. ხედი სანაპიროდან. 1920-იანი წლები

ZAHESI POWER STATION BUILDING. TBILISI. VIEW FROM RIVERSIDE. ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1920s





ზაჰესის მშენებლობას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეს, სპეციალურად ეწვია სტალინი.⁶ სტალინის სტუმრობა ზაჰესის მშენებლობაზე მასშტაბურად გაშუქდა საბჭოთა პრესაში, ქართველმა მხატვრებმა სპეციალური შეკვეთით შეასრულეს დიდი ფერწერული ტილოები, რომლებიც ასახავდა ბელადს ზაჰესის მშენებლობის ფონზე.

ზაჰესის სამშენებლო სამუშაოთა მთავარ მწარმოებელ ბაგრატ

6. აშხ. სტალინ-ჯულაშვილი ზაჰესში. გაზ. „კომუნისტი“. 3 ივნისი. № 124. გვ. 2. 1926.

and Lenin's statue made by sculptor Ivane Shadri⁵ had a background of Jvari Monastery, the architectural masterpiece and cultural symbol of Georgian nation. Big and small panels were painted by various painters depicting Zahesi. Postcards were issued, jubilees dedicated to its construction were celebrated. Even in children's newspapers one could find rhymes related to Zahesi and city electrification.

5. 100th Anniversary of Ivan Shadri's birthday. Newspaper "Tbilisi". # 37. p. 3. 1987

ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



სევერიან მაისაშვილი. ზაჰესი. 1966 წ.
ქაღალდი, აკვარელი, გუაში. 35X29 სმ. სამ.

SEVERIAN MAISASHVILI. ZAHESI. 1966.
PAPER, WATERCOLOR, GOUACHE. 35X29 CM. GNM.

ზაჰესის მშენებლები მცხეთის
ჯვრის ტაძრის ფონზე.

ZAHESI CONSTRUCTORS IN THE
BACKGROUND OF THE MTSKHETA JVARI



მიქელაძის ოჯახშია დაცულია ფოტოარქივი, რომელიც ზაჰესის მშენებლობის ეტაპებს ასახავს, თუ როგორ ნელ-ნელა იზრდებოდა კომპლექსი, როგორ მუშაობდნენ მშენებლები წელიწადის ნებისმიერ დროს, როგორ ათვალიერებდნენ უცხოელი სტუმრები მშენებლობის პროცესს.

თუმცა კომპლექსს, რომლითაც ხელისუფლება ასე ამყობდა, დიდი ტრაგედიაც ახლდა, რომელიც უკავშირდებოდა სწორედ მისი აღმშენებელი სახელმწიფოს იდეოლოგიას. მშენებელთა უმეტესი ნაწილი, რომლებიც წარმატებულად მოღვაწეობდნენ თავიანთ სფეროებში და რომლებიც საბჭოთა ფერწერაში ბედნიერად გამოიყურებიან, დააპატიმრეს, დახვრიტეს ან გადაასახლეს საბჭოთა რეპრესიების დროს, 1937-1938 წლებში. ზაჰესისა და

Stalin⁶ visited the Zahesi construction process as it was considered of significant importance. Stalin's visit was broadly explored by the Soviet media, Georgian painters got special requests to create large paintings depicting the Leader on the background of Zahesi construction.

The family of the chief constructor Bagrat Mikeladze has preserved a photo-archive, which depicts stages of Zahesi construction, how the complex gradually grew, how the workers performed during the whole year, how foreigners visited and observed the construction process. Though the complex, which authorities were so proud of, was accompanied by tragedies as well, which was related to the ideology of

6. Comrade Stalin-Jughashvili at Zahesi. Newspaper "komunisti". June 3. # 124. p.2. 1926

რიონჰესის ამშენებელ ბაგრატ მიქელაძეს ჯერ ლენინის ორდენი გადასცეს გაწეული სამსახურისთვის, ერთი წლის შემდეგ კი დახვრიტეს.

მიუხედავად ასეთი დრამატული ისტორიისა, ანატოლი კალგინის მიერ შესრულებული კომპლექსი დღემდე ფუნქციონირებს და აქტიურ როლს ასრულებს ქვეყნის ელექტროფიკაციაში. უნდა აღინიშნოს, რომ კალგინის დამსახურებაა კავკასიაში აგებულ ამ ერთ-ერთ დიდ კომპლექსში, ნაგებობას ურთიერთშეხამებული ფუნქცია, კონსტრუქციული გადაწყვეტა და კარგად გააზრებული ფასადების მხატვრული იერსახე.


the Soviet state. The major part of the constructors, who successfully continued to work in their own spheres, were arrested and either executed or sent in exile during Soviet repressions in 1937-1938. (In Soviet paintings most of the workers look happy and satisfied). Zahesi and Rionhesi constructor Bagrat Mikeladze first was awarded Lenin Order and one year later was executed. Despite such dramatic history, the complex created by Anatoly Kalgin is still functional to date and plays an active role in the electrification of the country. It should be mentioned that it is Kalgin's merit that this, one of the biggest Complexes in Transcaucasia, has an inter complementary



სტალინი ზაჰესის მშენებლობაზე.
ფოტო - ციფრული ბიბლიოთეკა ივერიელი
STALIN AT ZAHESI CONSTRUCTION.
PHOTO - DIGITAL LIBRARY IVERELI

კ. კიკნაძე. ამხანაგი სტალინი ზაჰესის მშენებლობაზე.
1926 წ. ტილო, ზეთი. 160X295 სმ. სმ.
K. KIKNADZE. COMRADE STALIN DURING ZAHESI CONSTRUCTION.
1926. CANVAS, OIL. 160X295 CM. GNM.





ევგენი ლანსერა. სოფელი და ქალაქი. მუშა და გლეხი.
ქალაქი, ტუში. 26X53 სმ. სპე

EUGENE LANCERAY. VILLAGE AND CITY. WORKER AND PEASANT.
PAPER, INDIAN INK. 26X53 CM. GNM.

ვლადიმერ კუთათელაძე. ლენინის ძეგლი.
ფერადი ავტოლითოგრაფია. 50X40 სმ. სპე.

VLADIMIR KUTATELADZE. LENIN STATUE.
COLOR AUTOLITHOGRAPHY. 40X50 CM. GNM.

ბორის ფოგელი. ზაჰესის სართო ხედი. 1926 წ.
ტილო, ზეთი. 65X79.5 სმ. სპე.

BORIS VOGEL. GENERAL VIEW OF ZAHESI. 1926.
CANVAS, OIL. 65X79.5 CM. GNM.

ბორის ფოგელი. ზაჰესის სართო ხედი. 1926 წ.
ტილო, ზეთი. 67X80.5 სმ. სპე.

BORIS VOGEL. GENERAL VIEW OF ZAHESI. 1926.
CANVAS, OIL. 67X80.5 CM. GNM.

თუ გადავხედავთ ანატოლი კალგინის ბიოგრაფიას, დავინახავთ, რომ მის მიერ აგებული ორი მთავარი შენობა ე. წ. ქართული სტილისაა, თუმცა განსხვავებულია ამოცანითა და გადაჭრის გზებით როგორც კონსტრუქციული, ისე მხატვრული თვალსაზრისით. პირველი – თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობა საუკეთესო ნიმუშია, რომლის მსგავსი საქართველოში აღარ შეიქმნება და ამით დასრულდება ე.წ. ქართული სტილის პირველი ეტაპი. კალგინის მთავარი მიზანი აქ იყო ქართული კულტურისა და არქიტექტურის პოპულარიზაცია და თანამედროვე არქიტექტურაში ტრადიციული ფორმების დამკვიდრება. მეორე შენობის – ზაჰესის კომპლექსის სახით კი, არქიტექტორი ქმნის ქართული საბჭოთა არქიტექტურის პირველი ეტაპის შენობათა შორის ერთ-ერთ გამორჩეულს, რომელიც სულ სხვა

function, design concept and well thought artistic look of facades.


If we look at the biography of Anatoly Kalgin, we will see that the two buildings that he built are made in the so-called Georgian style, although they differ in their purpose and solutions in terms of design and artistic viewpoint.

First – Tbilisi Nobility Bank building is the best illustration of this, as no similar building will be created since then and the so-called first stage of Georgian style will end. Anatoly Kalgin's main goal was to popularize Georgian culture and architecture and establish traditional forms in contemporary architecture.

In the form of the second building - the Zakhesi complex- the architect creates one of the most distinctive structures of the first stage of Georgian Soviet architecture, which meets completely different


მოთხოვნებს შეესაბამება, კერძოდ, ავტორს უნდა გადაეწყვიტა შენობის მხატვრული და ფუნქციური პრობლემები და, ამავე დროს, კონკრეტული იდეოლოგიური მოთხოვნებისთვისაც ეპასუხა.

requirements, in particular, the author had to solve the artistic and functional tasks of the building and, at the same time, meet certain ideological requirements.



მთავარი კვანძობის გეგმა.


ქიზაში კაპოს კუჩისაკან.





ზაჰესის მთავარი ძვესადგურის პროექტი.
ფასადი დიმიტრი უზნაძის ქუჩისკენ.
ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ.
ქალაქი, აკვარელი. 40x66 სმ. სმ.

DESIGN OF THE ZAHESI POWER SUB-STATION.
FAÇADE TOWARDS MTKVARI.
ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924.
PAPER, WATERCOLOR. 40X66 CM. GNM.



ზაჰესის ქვესადგურის პროექტი. გვირდითი ფასადი.
ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ.
ქალაქი, აკვარელი. 33X47 სმ. სმ.

DESIGN OF ZAHESI SUB-STATION DESIGN. SIDE FAÇADE.
ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924.
PAPER, WATERCOLOR. 33X47 CM. GNM.


ზაჰესის დიღომის განმრიგი შენობის პროექტი.
ფასადი. ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ.
ქალაქი, აკვარელი. 49X34 სმ. სმ.

DESIGN OF THE ZAHESI DIGHOMI POWER STATION. FAÇADE.
ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924.
PAPER, WATERCOLOR. 49X34 CM. GNM.



ზაჰესის დიდუბის ქვესადურის პროექტი. მთავარი ფასადი. ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ. ქაღალდი, აკვარელი. 53X32 სმ. სმ.

DESIGN OF ZAHESI DIGHOMI POWER SUB-STATION. MAIN FAÇADE. ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924. PAPER, WATERCOLOR. 53X32 CM. GNM.




ზაჰესის სადგურის შენობის პროექტი. ფასადი თბილისისაკენ. ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი, კონსტანტინე ლეონტიევი. 1925 წ. აკვარელი. 58X49 სმ. სმ.

DESIGN OF ZAHESI POWER STATION DESIGN. FAÇADE TOWARDS TBILISI. ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI, KONSTANTIN LEONTIEV. 1925. WATERCOLOR. 58X49 CM. GNM.



ზაჰესის ძვესადგურის პროექტი. მხედრითი ფასადი.
ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ.
ქალაქი, აკვარელი. 33X47 სმ. სმ.

DESIGN OF ZAHESI DIDUBE SUB-STATION DESIGN.
SIDE FAÇADE. ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924.
PAPER, WATERCOLOR. 33X47 CM. GNM.



ზაჰესის ავლაბრის ძვესადგურის პროექტი.
ფასადი მზისაკენ.
ანატოლი კალგინი, მიხეილ მაჭავარიანი. 1924 წ.
ქალაქი, აკვარელი. 49X34 სმ. სმ.

DESIGN OF THE ZAHESI AVLABARI POWER SUB-STATION.
FAÇADE TOWARDS THE ROAD.
ANATOLY KALGIN, MIKHEIL MACHAVARIANI. 1924.
PAPER, WATERCOLOR. 49X34 CM. GNM.



ზაჰესის სადგურის შენობა. მცხეთა
ZAHESI POWER STATION BUILDING. MTSKHETA




ზაჰესის სადგურის შენობის პროექტი.
ფასადი მთკვარისაკენ.
ანატოლი კალგინი. 1925 წ.
ქაღალდი, აკვარელი. 60X38 სმ. სმშ.

DESIGN OF ZAHESI POWER STATION PROJECT.
FAÇADE TOWARDS MTKVARI.
ANATOLY KALGIN. 1925.
PAPER, WATERCOLOR. 60X38 CM. GNM.






ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის სარეზერვუარი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE








ზახესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE




ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE

10
26



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



გაჰესი ზაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE






ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE






ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის
საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE




ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE

15
VI. 26



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE






ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE





ზავისი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE







ზაჰესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE






ზაქესი. ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE






ლენინის ძეგლის მონტაჟი ზაჰესის კომპლექსში.
მოქანდაკე ივანე შადრი. 1927 წ.
ბაგრატ მიქელაძის საოჯახო არქივი

LENIN STATUE INSTALLATION IN THE ZAHESI COMPLEX.
SCULPTOR IVANE SHADRI, 1927.
ZAHESI. BAGRAT MIKELADZE'S ARCHIVE



სხვა პროექტები
Other Projects



ანატოლი კალგინი
იაკობ ნიკოლაძის სახელოსნოს
პროექტი. 1924 წ.

ANATOLY KALGIN.
PROJECT OF IAKOB NIKOLADZE'S
STUDIO, 1924.



მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სახელოსნო
SCULPTOR IAKOB NIKOLADZE'S STUDIO

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ზაჭესის ჰიდროელექტროსადგურის გარდა, ანატოლი კალგინი მუშაობს სხვადასხვა პროექტზეც, იღებს მონაწილეობას კონკურსებში, თანამშრომლობს და ხელმძღვანელობს არაერთი არქიტექტორის სამუშაო პროექტებს. მისი მოღვაწეობა და შემოქმედება მთლიანად უკავშირდება ქართული

After Soviet regime was established, A. Kalgini worked on various projects in addition to Zahesi, participated in competitions, cooperated and directed projects of a number of architects. All his life and work were completely connected with the in-depth study of Georgian architecture. There are only a few projects that are not designed in the so-called Georgian style. For example, Iakob Nikoladze's studio

არქიტექტურის ღრმად შესწავლას. მხოლოდ მისი რამდენიმე პროექტი შეგვიძლია დავასახელოთ, სადაც ე. წ. ქართული სტილი არ ფიგურირებს.

ასეთია 1924 წელს აგებული მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სახელოსნო ფიქრის გორაზე. 1922 წელს აღნიშნეს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის მოღვაწეობის 25 წლის თავი. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფომ მას გარკვეული რაოდენობის თანხა გადასცა საჩუქრად. მოქანდაკემ ამ თანხით სახელოსნოს აგება გადაწყვიტა და ანატოლი კალგინს მიმართა.¹ ანატოლი კალგინის პროექტით აშენებული სახელოსნო მაღალჭერიანი, ნათელი, ორსართულიანი სივრცეა. იარუსის პრინციპით გადაწყვეტილ მეორე სართულს შიდა კიბე უკავშირდება. ორფერდა გადახურვიდან ერთი მთლიანად გახსნილია და შემინული, რაც საშუალებას იძლევა სახელოსნოს ბუნებრივი შუქის წყარო მუდმივად ჰქონდეს. შენობა ოგიუსტ როდენის სახელოსნოს მსგავსია, თუმცა უფრო პატარა მასშტაბისაა და უკავშირდება საცხოვრებელ სახლს.

1926 წელს ანატოლი კალგინს ნიკოლოზ სევეროვთან ერთად შეაქვს პროექტი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის შენობის ასაგებად გამოცხადებულ კონკურსში. მათი პროექტი კონსტრუქტივიზმის სტილისა იყო. (კონკურსში დავით ჩისლიევის პროექტმა გაიმარჯვა).² ანატოლი

in Pikris Gora, constructed in 1924. In 1922 the 25th Anniversary of Iakob Nikoladze’s creative heritage was celebrated. Due to this special occasion, the government made a present and gave him a certain amount of money. With this money, the architect decided to build a studio and turned to Anatoly Kalgin. ¹ The studio, constructed by A. Kalgin has a high ceiling and is a light two-floored space. The second floor is built on a tiered principle and is connected by an internal staircase. One side of the A-shaped roof is completely open and glazed, allowing a natural light source in the studio. The building is similar to the studio of Auguste Rodin, but smaller in size and is part of a residential building.


The competition was announced for the construction of a building for the newspaper “Zaria Vostoka” in 1926 and Anatoly Kalgin and Nikolay Severov submitted their project. The project belonged to the constructionism style. (David Chisliev’s project won);² Under Anatoly Kalgin’s direction, Giorgi Lezhava implemented a project – A Club on a Riverside; Together with Ter-Mikelov, he creates a Georgian Pavilion project for Moscow Agricultural Exhibition in 1926; ³ In 1927, again with Gabriel Mikelov and Giorgi Lezhava, he designs a project for students’ dormitory in Baku. ⁴ In 1920-1930 Kalgin participated in extensive construction of health

1. Iakob Nikoladze’s grandson Guram Nikoladze gave us information about this event and we express our gratitude to him.
2. N. Janberidze. Georgian Soviet Architecture. 1971. Tb., p.83.
3. Ibid. p.74.
4. Ibid. p.86.


1. ამის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა იაკობ ნიკოლაძის შვილიშვილმა გურამ ნიკოლაძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.
2. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. 1971. თბ., გვ. 83.



მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სახელოსნო
SCULPTOR IAKOB NIKOLADZE'S STUDIO



საცხოვრებელი სახლი მთაწმინდაში.
ხის კივნის დეტალები. ნახაზი.
ანატოლი კალგინი, გაბრიელ ტერ-მიქელოვი.
ქალაქი, მელანი. 40X25, 25X40 სმ. სპმ.
DWELLING HOUSE ON MTATSMINDA.
DETAILS OF WOODEN BALCONY. DRAWING.
ANATOLY KALGIN, GABRIEL TER-MIKELOV.
PAPER, INK. 40X25, 25X40 CM. GNM.



კალგინის ხელმძღვანელობით გიორგი ლეჟავამ შეასრულა პროექტი – კლუბი სანაპიროზე; 1926 წელს გაბრიელ ტერ-მიქელოვთან ერთად ადგენს საქართველოს პავილიონის პროექტს მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის;³ 1927 წელს ისევ გაბრიელ ტერ-მიქელოვსა და გიორგი ლეჟავასთან ერთად აკეთებს პროექტს ბაქოს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისთვის.⁴ კალგინი მონაწილეობდა 1920-1930 იან წლებში ფართოდ გაშლილ საკურორტო მშენებლობაშიც, მაგალითად, აგებს სასტუმროს ბორჯომში იური ჟიტკოვსკისთან ერთად.⁵ თბილისის ცირკის საკონკურსო პროექტზე მუშაობს ნ. მადათოვსა და ვლადიმირ ურუშადესთან ერთად.⁶

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი თბილისის საარქიტექტურო – საპროექტო სახელოსნოს

3. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. 1971. თბ., გვ. 74.

4. იქვე. გვ.86

5. იქვე. გვ.35.

6. ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები №4. 1955 წელი. თბ., გვ. 79.

resorts. For example, he constructed a hotel together with Iuri Zhitkovski⁵ in Borjomi. He worked on competitive design of Tbilisi Circus together with N. Matadov and Vladimir Urushadze.⁶

In the last years of his life he was a permanent consultant to an architectural and design studio. Large-scale facilities were built under his leadership.⁷ Among them Old Dynamo Stadium should be noted, the architect was Archil Kurdiani. Henryk Hryniewski also worked together with him. It seems that it is Anatoly Kalgin's and Henryk Hryniewski's merit to use ancient Georgian elements in the decorations of the Stadium, which have been preserved to date and are included in the new Stadium structure.

In 1932 Anatoly Kalgin participated in the project competition announced by the Government of Georgia for the construction of

5. N. Janberidze. Georgian Soviet Architecture. 1971. Tb., p. 35.

6. V. Beridze. History of Georgian Soviet Architecture. Publications of the Institute of Georgian Art History # 4. 1955. Tb., p.79.

7. Ibid.



სტადიონი „დინამო“. ფასადი.
არქიტექტორები: არჩილ ქურდიანი, ჰენრიკ ჰრინევსკი.
კონსულტანტი ანატოლი კალგინი. 1934წ.
ქალაქი, აკვარელი. 58X205 სმ. სპ.



“DINAMO” STADIUM. FAÇADE.
ARCHITECTS: ARCHIL KURDIANI, HENRYK HRYNIEWSKI.
CONSULTANT ANATOLY KALGIN. 1934.
PAPER, WATERCOLOR. 58X205 CM. GNM.


თბილისის დინამოს სტადიონი. 1936 წ.
ფოტო - სპ.
DINAMO TBILISI STADIUM. 1936.
PHOTO - GNM.

მუდმივი კონსულტანტი იყო. მისი კონსულტაციით იგება დიდი ობიექტები.⁷ მათ შორის აღსანიშნავია დინამოს ძველი სტადიონი, რომლის არქიტექტორი არჩილ ქურდიანი იყო. მასთან ერთად მუშაობს ჰენრიკ ჰრინევსკიც. როგორც ჩანს, ისევ ანატოლი კალგინისა და ჰენრიკ ჰრინევსკის დამსახურებაა სტადიონის გაფორმებაში ძველი ქართული დეკორატიული

7. ვ. ბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები №4. 1955 წელი. თბ., გვ. 79.







მთავრობის სახლი. მხედრული ფასადი. თბილისი.
ანატოლი კალგინი, ვლადიმირ ურუშაძე. 1935 წ.
ქალაქი, აკვარელი. 92X230 სმ. სმ.

GOVERNMENT HOUSE. SIDE FAÇADE. TBILISI.
ANATOLY KALGIN, VLADIMIR URUSHADZE. 1935.
PAPER, WATERCOLOR. 92X230 CM. GNM.


ელემენტების ჩართვა, რომელიც
დღემდე შემორჩენილია და
ჩართულია ახალი სტადიონის
შენობაში.

ანატოლი კალგინი მონაწილეობდა
1932 წელს გამოცხადებულ
საქართველოს მთავრობის
სახლის (დღეს პარლამენტის
შენობა) პროექტის კონკურსში,
რომელიც რამდენიმე ეტაპად

the Georgian Government House
(current Parliament building), which
was carried out in a few stages,
where many architects, engineers
and painters were involved. The
competitive design created by
Anatoly Kalgin in 1934 is preserved
in the Fund. The main part of the
building is vertical and is partitioned
with two risalits in which entrances

მთავრობის სახლი. მთავარი ფასადი. თბილისი.
ანატოლი კალგინი. 1934 წ.
ქალაქი, აკვარელი. 60X225 სმ. სმ.

GOVERNMENT HOUSE. MAIN FAÇADE. TBILISI.
ANATOLY KALGIN. TBILISI. 1934.
PAPER, WATERCOLOR. 60X225 CM. GNM.



მთავრობის სახლი. საერთო პერსპექტივი. თბილისი.
ანატოლი კალგინი, ვლადიმირ ურუშაძე. 1935წ.
ქალაქი, ფანქარი, აკვარელი. 130X230 სმ. სმ.

GOVERNMENT HOUSE. OVERALL PERSPECTIVE. TBILISI.
ANATOLY KALGIN, VLADIMIR URUSHADZE. 1935.
PAPER, PENCIL, WATERCOLOR. 130X230 CM. GNM.

მთავრობის სახლი. მთავარი ფასადი. თბილისი.
ანატოლი კალგინი, ვლადიმირ ურუშაძე. 1935 წ.
ქალაქი, აკვარელი. 92X230 სმ. სმ.

GOVERNMENT HOUSE. MAIN FAÇADE. TBILISI.
ANATOLY KALGIN, VLADIMIR URUSHADZE. 1935.
PAPER, WATERCOLOR. 92X230 CM. GNM.

ჩატარდა და მასში არაერთი არქიტექტორი, არქიტექტორთა ჯგუფი, ინჟინერი და მხატვარი იყო ჩართული. ფონდში დაცულია ანატოლი კალგინის მიერ 1934 წელს შესრულებული საკონკურსო პროექტი. შენობის ძირითადი ნაწილი ვერტიკალურია და დანაწევრებულია ორი რიბალიტით, რომელშიც შესასვლელებია მოწყობილი. პროექტმა კონკურსში ვერ გაიმარჯვა. 1935 წელს იგი ვლადიმერ ურუშაძის მომზადებული

are arranged. This design did not win. In 1935 He became a consultant for the designs created by Vladimir Urushadze. Finally, the joint design made by Viktor Kokorin and Giorgi Lezhava was chosen.

A few designs are preserved in the Fund of Architectural Measurements and Drawings of GNM Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts.

One of them is a facade created in 1912, which has an inscription on

პროექტების კონსულტანტია. საბოლოოდ, კონკურსში ვიქტორ კოკორინისა და გიორგი ლეჟავას ერთობლივმა პროექტმა გაიმარჯვა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურული ანაზომებისა და ნახაზების ფონდში დაცულია რამდენიმე პროექტი. ერთ-ერთია 1912 წელს შესრულებული სახლის ფასადი, რომელსაც აწერია, სახლი მუხრანის ქუჩაზე და თან ახლავს ანატოლი კალგინის ხელმოწერა. ეს გახლავთ მის მიერ შესრულებულ სხვა პროექტებისგან ყველაზე განსხვავებული ნამუშევარი. რთულია, ის რომელიმე სტილს მივაკუთვნოთ, რადგან თბილისში ამ პერიოდში დამკვიდრებული ეკლექტური სტილისთვის მას უჩვეულოდ მკაცრი და შეკრული ფასადი აქვს, რომლისთვისაც, მართალია, გამოიყენა სკულპტურული დეკორი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განსხვავდება იმ პერიოდში აქტიურად გამოყენებული საფასადე დეკორისგან. უცნობია განხორციელდა თუ არა ეს პროექტი. მუხრანის (დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის) ქუჩაზე მსგავსი ნაგებობა არ დგას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ანატოლი კალგინი მუშაობდა არქიტექტორ გაბრიელ ტერ-მიქელოვთან. საქართველოს ეროვნულ მუზეუმის კოლექციაში დაცულია სახლის დეტალების ორი ნახაზი. როგორც თავად პროექტზეა მითიებული, ესაა ფუნქულიორთან მდგარი სახლის გადაკეთების პროექტი.

it- house on Mukhrani street and has Anatoly Kalgin's signature. This is a very different design among those created by him. It is difficult to assign it to any style, as it has an unusually austere and aggregate style in contrast with the established eclectic style commonly used in Tbilisi. Though, for this purpose he used sculptural decor, it differs from facade decors actively used in that period. It is unknown if he had implemented this project. There is no such building on Mukhrani street (currently Baratashvili street).

As it was mentioned above, Anatoly Kalgin worked with architect Ter-Mikelov. There are two designs of a house details preserved at the Georgian National Museum collection. As it is indicated on the design, this is a house reconstruction design of a house near Funicular.

სამსართულიანი შენობის ფასადი. თბილისი, მუხრანის ქუჩა (დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩა). ანატოლი კალგინი. 1912 წ. დაფერილი, ტუში. 71X51 სმ. ს.ა.მ.

FAÇADE OF A THREE-STOUREY HOUSE. TBILISI, MUKHRANI STREET (AT PRESENT BARATASHVILI STREET). ANATOLY KALGIN. 1912. COLORED, INDIAN INK. 71X51 CM. GNM.



Фаса́д на Му́хранинъ у́л.



ბოლოსიტყვა
Afterword



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
TBILISI STATE ACADEMY OF ART

ექტური პრაქტიკული მუშაობის გარდა, ანატოლი კალგინი ოცი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1922-1930 წლებში – თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 1928 წელს სამხატვრო აკადემიის რეფორმასთან დაკავშირებით, თავის სადისკუსიო წერილში კალგინი ხაზგასმით მიუთითებს, რომ უნდა შეიქმნას (სამხატვრო აკადემიასთან) საქართველოს არქიტექტორთა და მხატვართა საზოგადოება.¹ ამის ნაცვლად 1930 წელს სამხატვრო აკადემია საერთოდ გააუქმეს და აღადგინეს მხოლოდ 1933 წელს. თუმცა არქიტექტურის ფაკულტეტი უფრო მოგვიანებით, 1937 წელს, გაიხსნა. ალბათ სწორედ სამხატვრო აკადემიის გაუქმების

1. ნ. ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. 1971. თბ., გვ. 21.

In addition to active practical work, Kalgin had been lecturing for 20 years, in 1922-1930-at Tbilisi Academy of Art. Due to reforms at the Academy of Art in 1928, in his discussion note Anatoly Kalgin underlines that it is necessary to establish the Society of Georgian Architects and Painters at the Academy of Arts.¹ Instead, in 1930 the Academy of Arts was fully abolished and was restored later in 1933. Though architectural faculty was established later, in 1937. Possibly because of abolishment of the Academy of Art, Anatoly Kalgin started his work at the Industrial Institute (currently Georgian Technical University) in 1930. Memories about Anatoly Kalgin belong to Parmen Zakaraia,

1. N. Janberidze. Georgian Soviet Architecture. 1971. Tb., p.21.

გამო ანატოლი კალგინმა 1930 წელს ინდუსტრიული ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. მოგონებები მის შესახებ ეკუთვნის ქართული ხუროთმოძღვრების მკვლევარს, პარმენ ზაქარაიას. ანატოლი კალგინი არქიტექტურის გეგმარებას ასწავლიდა ინდუსტრიულ ინსტიტუტში. ეს გახლდათ მომავალი არქიტექტორებისთვის ერთ – ერთი მთავარი საგანი. კალგინს ასისტენტობას ვალერიან კედია უწევდა. „როცა პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე შევედი (1934 წელი), მაღალკვალიფიციური ლექტორები დამხვდნენ.

ესენი იყვნენ პროფესორები: ანატოლი კალგინი, მიხეილ შავიშვილი, ივანე ყირქესალი, ალექსანდრე ნიკოლაიშვილი, სანდრო ინჭკირველი და სხვები... პირველი ადამიანი, რომელმაც ხუროთმოძღვრების ხელოვნებას მაზიარა იყო ანატოლი კალგინი... არქიტექტურის ისტორიის საუკეთესო მცოდნე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გვიყვებოდა და გვიჩვენებდა ადგილობრივ თუ მსოფლიოს კლასიკურ ნიმუშებს“² – იგონებდა პარმენ ზაქარაია.

მოგონებები ანატოლი კალგინის შესახებ შემოგვინახა ვახტანგ ბერიძემაც: „მაღალი და მასიური კაცი იყო, სრულიად მელოტი, მოგრძო თავის ქალით, მოკლე ტალღა უღვაშებითა და ბლანჟეთი. თვალები იმ სათვალის უკან არც უჩანდა, მაგრამ რაც ჩანდა – ორი წვრილი ზოლი იყო მხოლოდ. გადაკვრა უყვარდა, ლაპარაკში შეეძლო ბილწსიტყვაობა შეერია, ძლიერი ტემპერამენტი და

2. პ. ზაქარაია. მცირე მოგონებები კოლეგა არქიტექტორებზე. ურ. „ხელოვნება“. №№9-11. 1999. თბ., გვ. 51.



researcher of Georgian architecture. Anatoly Kalgin gave lectures in architectural planning at currently Georgian Technical University. This was one of the main subjects for the future architects. His assistant was Valerian Kedia. “When I entered the architectural faculty of the Polytechnical Institute (1934), I was met up by highly qualified lecturers. These were professors: Anatoly Kalgin, Mikheil Shavishvili, Ivane Kirqesali, Aleksandre Nikolaishvili, Sandro Intskirveli and others ... The first person who familiarized me with architectural art was Anatoly Kalgin... the best expert in architecture history, in each particular case he demonstrated local and world classical illustrations of art² - recalled Parmen Zakaraia. Vakhtang Beridze also kept memories about Anatoly Kalgin: “He was a tall, massive man, totally bold, with a prolonged skull, short, grey moustache and goatee. Eyes behind his glasses were not visible,

2. P. Zakaraia. Small memories about colleague architects. Journ. “Khelovneba”. #9-11. 1999. Tb., p. 51.

ინდუსტრიული ინსტიტუტი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
ფოტო - ს.ა.ბ.

INDUSTRIAL INSTITUTE
(GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY)
PHOTO – GNM.



ანატოლი კალგინი
ANATOLY KALGIN

„ფეთქებადი“ ხასიათი ჰქონდა. ქართული ძეგლები აშკარად უყვარდა (არ შეიძლებოდა, რომ არ ჰყვარებოდა) და ყოველთვის, როცა ძეგლთან ვიყავით, ძალიან ექსპანსიურად გამოხატავდა თავის განწყობილებას. გამოოგნებელია, გასაოცარი, უღმობელია – ეს სიტყვები აღმოხდებოდა ხოლმე.“³

ანატოლი კალგინის მეუღლე გახლდათ დარია ვედრებისელი. იგი დაიბადა 1874 წელს გორის რაიონის სოფელს ვედრებისელში, ფსევდონიმს აქედან აიღო. მისი ნამდვილი სახელი იყო დარია მალიევა – კალგინისა (ეროვნებით ოსი გახლდათ. მის გვარს ხანდახან მოიხსენიებენ, როგორც მალიაშვილი). იგი ბეჭდავდა საქართველოს ყოფაცხოვრების ამსახველ პატარა მოთხრობებს რუსულ გაზეთებში. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთანაც, სადაც ათავსებდა სტატიებს, აგრეთვე წერდა საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებისთვის. გარდაიცვალა 1925 წელს.⁴

ანატოლი კალგინი 1943 წელს გარდაიცვალა.

„მე მომიხდა, ჩემს სიცოცხლეში პირველად, სიტყვის წარმოთქმა გამოსვენების წინ. მცხეთაში წავასვენეთ და სამთავროს ტაძრის გალავანში დავკრძალეთ მეუღლის გვერდით. თვითონ ისურვა ასე. არ არის ცუდი განსასვენებელი ადგილი ძველი

but what was visible were only two narrow eye shapes. He liked to knock back, while speaking, could use foul language, had fiery temperament and explosive mood. He undoubtedly loved Georgian monuments (it was impossible not to love them) and always, when we were near a monument, he effusively expressed his attitude. Stunning, surprising, fierce – he used to utter“.³

Anatoly Kalgin's wife was Daria Vedrebisel. She was born in 1874 in the village Vedrebisel in Gori district, and that's why took such a pseudonym. Her birth name was Daria Maliev-Kalgin (she was Ossetian. Her name in some cases was mentioned as Maliashvili). She published small stories about Georgian life in Russian newspapers. She also cooperated with Georgian media, where she published articles and also wrote for children's newspapers and journals. She passed away in 1925.⁴

Anatoly Kalgin passed away in 1943.

“For the first time in my life, I had to give a speech at a funeral. We took him to Mtskheta and buried him in the wall of the Samtavro Cathedral next to his wife. It was his will. Not a bad place to pacify the lover of architecture and such a romantic person”⁵ – wrote Vakhtang Beridze.

The writer and publicist Aleksander Sigua wrote: “Kalgin was of an average height, his expression was slightly grim, but if you got close to him and got to know him well, then

3. ვ. ბერიძე. მოგონებები. თბილისი. 1987. თბ., გვ. 255.

4. ყარიბი. დარია ვედრებისელი. გაზ. „კომუნისტი“. 10 იანვარი. № 7. გვ. 2. 1926.

3. V. Beridze. Memories. Tbilisi. 1987. Tb., p. 255.

4. Karibi (Exiled). Darya Vedrebiseli. Newspaper “komunisti”. January 10. # 7. p. 2. 1026

5. V. Beridze. Memories. 1987. Tb., p. 255.



ანატოლი კალგინის მეუღლე დარია ვედრებისელი
ANATOLY KALGIN'S WIFE DARIA VEDREBISELI

ხუროთმოძღვრების მოყვარულისა და რონატიკოსისთვის! ⁵ – წერს ვახტანგ ბერიძე.

მწერალი და პუბლიცისტი ალექსანდრე სიგუა წერდა: „კალგინი საშუალო ტანის კაცი იყო, გამომეტყველება ოდნავ კუმტი ჰქონდა, მაგრამ თუ დაუახლოვდებოდით და ახლოს გაიცნობდით, მაშინ მიხვდებოდით, რომ ძალიან კარგი, კეთილი და სათნო ხასიათის ადამიანი იყო. მას ფანატიკურად უყვარდა ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლები. კალგინმა რამდენჯერმე წამიყვანა და დამათვალიერებინა სვეტიცხოველისა და ჯვრის, ნიკორწმინდისა და ვარძიის ქართული ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლები. იგი ისე მიხსნიდა ქართული კულტურის ამ ძეგლების მნიშვნელობას, თითქოს მე უცხოელი ვყოფილიყავი და ის კი მკვიდრი ტბილისელი ქართველი. ვარძიის ძეგლის მნიშვნელობაზე ერთ საათზე მეტხანს ილაპარაკა და ასე დაამთავრა: ამ ძეგლის მშენებელი ხალხი გენიოსიაო.“ ⁶

ანატოლი კალგინი საკუთარი ცხოვრებითა და შემოქმედებით ქართულ კულტურას, თანამედროვეობასა და მომავალს ემსახურა. მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპედიციების დროს შეგროვებული მასალაა, რომელსაც დღესაც უდიდესი დოკუმენტური მნიშვნელობა აქვს. შუა საუკუნეების



you would understand that he was a very good, kind and merciful person. He immoderately loved Georgian historical architectural monuments. On several occasions Kalgin accompanied and helped me to familiarize with Georgian historical monuments such as Svetitskhoveli, Jvari, Nikortsminda and Vardzia. He was explaining to me the importance of these monuments of Georgian culture as if I were a foreigner and he was a native Tbilisi resident and Georgian. He was speaking about the importance of the Vardzia monument for more than an hour and ended his speech this way: builders of this monument are genius“. ⁶

Anatoly Kalgin devoted his whole

ანატოლი კალგინის საცხოვრებელი სახლი. შოთა რუსთაველის გამზირი N 18. სამ.

ANATOLY KALGIN'S RESIDENCE. SHOTA RUSTAVELI AVENUE N 18. GNM.

5. ვ. ბერიძე. მოგონებები. თბილისი. 1987. თბ., გვ. 255.

6. ა. სიგუა. ანატოლი კალგინი. ჟურ. „თეატრალური მოამბე“. 1976 №2. თბ., გვ. 54.

6. A. Sigua. Anatoly Kalgin. Journ. "Teatraluri Moambe". 1976. # 2. Tb., p. 54.



A. Kalgin

ქართული ხუროთმოძღვრების ღრმა ცოდნით მან ტრადიციულ ქართულ ხელოვნებას ახალი სიცოცხლე მიანიჭა ე. წ. ქართულ სტილში აგებულ შენობებში. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი და ზაჰესის კომპლექსი აგებიდან საუკუნის შემდეგაც აქტიურ როლს ასრულებს ურბანულ იერსახეში. გარდა საკუთარი შემოქმედებისა, ანატოლი კალგინმა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ათწლეულების განმავლობაში პედაგოგიური მოღვაწეობით არქიტექტორთა თაობები დაუტოვა ქვეყანას.

ანატოლი კალგინი სხვა გამორჩეულ მოღვაწეებთან ერთად მიეკუთვნება იმ შემოქმედთა რიცხვს, რომელთაც განაპირობეს XX ს-ის პირველი I ნახევრის თანამედროვე ქართული არქიტექტურის სახე და, ამასთანავე, საფუძველი ჩაუყარეს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების სამეცნიერო შესწავლას.

life and work to the Georgian culture, his contemporaries and the posterity. The material collected during the expeditions have the major documentary significance to date are crucial parts of his creative heritage. Having deep knowledge of medieval Georgian architecture, he granted new life to the traditional Georgian art in the buildings constructed in so-called Georgian style. Even after the whole century, The Nobility Bank and Zahesi complex delineate the urban characteristics of the city. In addition to his creative work, Anatoly Kalgin brought up generations of architects during the decades of his pedagogical work at Tbilisi Academy of Art and Polytechnical Institute.

Anatoly Kalgin is among those artists who conditioned modern look of Georgian architecture in the I half of the XX c. and laid foundation for the scientific study of the medieval Georgian architecture.